

# შრომის

საქართველოს პროლ. საწარმო-  
თა-ი ვაჭართა საბჭოს  
ორგანო.

ორ კვირული ჟურნალი.

# მთავარი

რედაქცია მოთავსებულია საქართველოს პროლ. სა-  
წარმო ვაჭართა საბჭოსთან, რუსთაველის პრ.  
მუშათა სასახლე, მეორე სართული, ოთახი № 4.  
ტელეფონის № 00-00.

რედაქციის მდივანა რედაქციის საქმეებზე მოსალა-  
პარაკებლად დებულობს ამხანაგებს დალის 10 სა-  
ათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე გარდა კვირა უქმე  
დღეებისა.

წელიწადი 1-ლი

1 მაისი, 1921 წ.

№ 2

## გაუმარჯოს საქრთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საერთაშორისო მუშათა დღესასწაული.

## პირველი მაისი.

12069

პირველი მაისი საერთაშორისო მუშათა კლასის საერთაშორისო კლასობრივი დღესასწაულია. პირველი მაისი ეს მუშათა კლასის საომარ შტაბის დაზვერვის დღეა. დღის დღეს პროლეტარიატი იარაღით ხელში გამოდის ქუჩაში. ახდენს თავის ძაღვების დემონსტრაციას საბოლოო განსათავისუფლებლათ — მონობისა და კაპიტალიზმისაგან.

მუშათა კლასმა 1889 წ. გადაწყვიტა ედღესასწაულა პირველი მაისი როგორც საერთაშორისო მშობის და ბრძოლის დღე. პირველი მაისი ეს რევოლუციონური ყიყინის, ბრძოლის დღეა და არა კლასთა შორის შერიგების და ზეიმის.

ბურჟუაზიულ საზოგადოებას თავზარი დასცა მუშათა კლასის საომარ დარაზმამ. ქვეყნის მყვლე ფელეები შეშფოთდნენ, იმპერიალისტური ბურჟუაზია ვერ შეურიგდა სოციალისტურ კონგრესის ასეთ გადაწყვეტილებას და გაუცოცებით ემზადებოდა მუშათა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ის განსაკუთრებულ რაზმებს ამზადებდა მუშათა დღესასწაულის ჩასაქრობათ, მაგრამ 1890 წ. ევროპის სხვა და სხვა ცენტრში იგრილა მუშათა გამოსვლებმა და გაფიცებმა. ამ დღიდან პირველი მაისი გადიქა მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდა-

რობის სიმბოლოდ და ის თანდათან მწყობრ და გრანდიოზულ ხასიათს იღებდა 1914 წლამდე.

საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა, რამელმაც გაანადგურა კაცობრიობის ეკონომიური და კულტურული სიმდიდრე და რომელმაც დასცა პროლეტარიატის კეთილდღეობა, დაუკარგა მნიშვნელობა პირველ მაისს. ოციწლიური სოციალდემოკრატია, წვერი მეორე ინტერნაციონალის, მტრულათ უცქეროდა მუშათა კლასს და ხელს უწყობდა მუშათა დღესასწაულის მოსპობას.

მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელი, რომლებიც მიეყიდა ბურჟუაზიას, პირნათლად ასრულებდნ თავის ლაქობის როლს და აჯერებდნ პროლეტარიატს არ ედღესასწაულათ მისობა. მათ ეს მოახერხეს, „სამოქალაქო ზავი“ და „ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვა“ შეიქმნა პროლეტარიატის ლოზუნგებათ. 1915 წ. პირველი მაისი გადიქა ბურჟუაზიის დღესასწაულად და მყვლეველთა კლასი ხითხითით შეხედა ამ მოვლენას.

რა მისცა იმპერიალისტურმა ომმა მუშათა კლასს? შიმშილი, სიცივე. სიღატაკე და ფიზიკური განადურება. მან შეიწირა 10 მილიონი ადამიანი — დანოცილთა და დამახინჯებულთა რიცხვი ასეთია.

# ზიზლი მუშათა კლასის მოღალატეთ,

## დაუნდობელი ბრძოლა კაპიტალიზმის მსახურთ-სოციალ გამგებლებს!

ასეთ ომს უჭერდნენ მხარს ოფიციალური სოციალდემოკრატები და ამან მოკლა მეორე ინტერნაციონალი 1914 წ.

**ძირს მუშათა კლასის გამცემლები, გაუმარჯოს მუშათა კლასის გაერთიანებას!**

მიუხედავად სოციალისტ გამცემლების ღალატისა, მიუხედავად მეორე ინტერნაციონალის დანგრევისა, მუშათა კლასში არ მომკვდარა საერთაშორისო სოლიდარობისკენ ღტობა, და თუმცა ამ ბუნებრივ გზაზე იმპერიალისტურმა ომმა მოახერხა პროლეტარიატის დროებით შეჩერება, სამაგიეროთ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ გადალახა ყოველივე დაბრკოლება და შეიძრო საძირკველი ჩაუყარა ყველა ქვეყნის პროლეტარიატის-გაერთიანებას.

უკვე არსებობს მესამე ინტერნაციონალი, საერთაშორისო რევოლუციის გენერალური შტაბი, რომელმაც აიღო თავის ხელში პროლეტარიატის გაერთიანება და ხელმძღვანელობს საერთაშორისო მასერალთა მოძრაობას.

**დაუნდობელი ბრძოლა მუშათა კლასის მოღალატეთ. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!**

რუსეთის რევოლუციამ პირველი მაისის ღონისძიებები სინამდვილეში განახორციელა—იმპერიალისტური ბურჟუაზია სამარცხვინოთ დაეცა რუსეთის პროლეტარიატთან ქიდილში, ძველი რუსეთის ტერიტორიაზე მრავალი თავისუფალი სოციალისტური რესპუბლიკები აღმოცენდა. რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხ-კობამ ბოლო მოუღეს თავის ბურჟუაზიას, 8 საათის სამუშაო დღე განხორციელებულია, მაგრამ ძველი ბურჟუაზიული ქვეყანა კიდევ სდგას ფეხებზე და იარაღით ხელში ყვავ-ყორანივით დასწავის, დასტრიალებს თავს საერთაშორისო რევოლუციის ავანგარდს—რუსეთის პროლეტარიატს; ლამობს ცეცხლით და მახვილით დამორჩილოს შრომა მუშათა კლასის საქმარცხვინოთ. მაგრამ ყოველი ცდა ამ მიმართულებით ევროპის ბურჟუაზიის მარცხით თავდება; ვერ იხსნა ისინი ვერც მათმა მამანჩალო—ოპორტიუნისტულ სოციალდემოკრატებმა. სომხეთი უკვე და საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებია. ევროპის პროლეტარიატი რაც დრო მიდის უფრო მძაფრათ ებრძვის თავის ქვეყნის მყველფელებს, უკანასკნელი საათი ახლოდება, არ არის შორს ის დრო, როდესაც ქველა მხრიდან გარს შემორტყმული ბურჟუაზია მსხვერპლათ შეეწირება მშრომელთა დიქტატურას.

**მაშ, სასიკვდილო ბრძოლა ბურჟუაზიულ ქვეყნებს, გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას!**

საქართველოს პროლეტარიატს განსაკუთრებულ ინტორიულ პირობებში უხდება პირველი მაისის უქმობა, სწორედ მაშინ, როდესაც მის სწამაყით შეუძლია სთქვას, რომ ის გამოვიდა გამარჯვებული იმ ქიდილიდან, რომელსაც მეთაურობდა რამიშვილის მთავრობა ბურჟუაზიის განსამარჯვებლათ.

საქართველოს პროლეტარიატისთვის პირველი მაისობა იღებს ახალ შინაარსს. მან ეს დღესასწაული საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად არაჩვეულებრივი ზემოთ უნდა ჩაატაროს.

საქართველოს მშრომელმა კლასმა მენშევიკების ნანგრევებზე უნდა ჩაუყაროს ბალავერი საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატის შეიძრო კავშირს და სთქვას—თავისუფალი მუშური და გლეხური საქართველო იარსებებს მხოლოდ რევოლუციასთან კავშირით.

ის დაუნდობელი ბრძოლა, რომელიც არსებობს ძველს და ახალ ქვეყნებს შორის, რომელმაც გააშინებულა ბურჟუაზიული ეკონომიკის სიკოტრე და აუცილებლობის რიგში დააყენა ახალი ურთიერთობის დამყარება, აძლიერებს პირველი მაისობის მნიშვნელობას და საქართველოს პროლეტარიატმა უნდა ხაზვასით აღნიშნოს, რომ ის ამ ქიდილში თავის მახვილს ბურჟუაზიულ ქვეყნებს დაუპირდაპირებს თავისი მიზნების განსახორციელებლათ.

**მაშ გაუმარჯოს თავისუფალ საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს წვრილ ერთა განთავისუფლებას!**

ამხანაგებო, მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა პირველი მაისის დღესასწაულში და მოუწოდოთ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ამხანაგებო, გაერთიანებულ ევროპის კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიას წინ დაუყენოთ შრომაში გაერთიანებული ძალები, თორემ მეტად ძნელია შექმნილ მდგომარეობიდან სხვა გზით გამოსვლა.

მართალია მეტად მძიმე პირობებში გვიხდება პირველი მაისის დღესასწაული, მაგრამ სწორედ შიმშილი, უმანკო მსხვერპლი, ნანგრევები, სიღარიბე და გაკვირება აძლიერებს მუშათა მოძრაობას, მან გამოიყვანა ქუჩაში კომუნისში და დაწყებული ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს.

**ძირს კაპიტალიზმი, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურას!**

**ზიზლი მუშათა კლასის მოღალატეთ, დაუნდობელი ბრძოლა კაპიტალიზმის მსახურთ—სოციალ-გამცემლებს!**

**გაუმარჯოს მშრომელ ხალხის ნება-სურვილების განმსხატველს და მის ინტერესების მდგარ დამცველს მუშათა კლასის წიაღში წარმოშობილს საბჭოთა მთავრობას!**

**გაუმარჯოს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკას!**

**გაუმარჯოს კომუნისში.**

**გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის მეგობრებტრეს საბჭოთა რუსეთს!**

**გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციის მეთაურს აშხ. ლენინს!**

გ. ნუცუბიძე.



# მეცნიერული თუ პოლიტიკური

(წითელი თემატიკის ინტერნაციონალი)

უკლასო ბრძოლა საათობით ვითარდება და განუწყვეტელი სისწრაფით კაცობრიობა ახალ ხანაში შედის.

გაბატონებული კლასები დაირაზმენ და ისინი სამკვდრო სასიცოცხლო ომს აწარმოებენ ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ, სოციალ-შოვინისტები (მენშევიკები) და სხვა ჯურის ნაციონალისტები შემამარწყუნებელ ამბებს უშხადებენ ნიადავს. თუმც მუშათა კლასისა აღმოაჩნდა ნიკი რუსეთის პროლეტარიატის მზგავსათ ხელში აიღოს მთელი ძალა უფლება და საშინელი შეტევით გასტეხოს ნაციონალისტური ბურჟუაზია, მაშინ კაცობრიობას წინ დაუდგება კიდევ უფრო საშინელი ამბები ვინემ 1914 წ. იმპერიალისტური ომი იყო.

მართლაც 1914 წ. ჩვენ შევიქენით საშინელი შოვინისტური სულისკვეთების მოწამე. პროლეტარიატი სოციალ-გამტეხლების წყალობით ნაციონალისტური ბურჟუაზიის ანკესზე წამოვეგო. ორ საომარ ბანაკათ გუყოფილმა საერთაშორისო ბურჟუაზიამ დასცა მუშათა კლასის ინტერნაციონალური გაერთიანება. მან საბოლოათ დაასამარა მეორე ინტერნაციონალი. კიდევ მეტი, ოპორტიუნისტულმა სოციალ-დემოკრატამ მოიწონა და დაადასტურა ბურჟუაზიის ასეთი საქციელი.

რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ სალათ დააყენა საკითხი. მან ნათელყო ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ცხოვრებაში კლასთა თანამშრომლობას არაფერი არ ამართლებს, პირიქით მთელი სურათი კლასთა წინააღმდეგობისა იმგვართ ეწყობა, რომ ისტორიიდან განწირულმა ბურჟუაზიამ უნდა დაკარგოს თავის ბატონობის უპირატესობა, რადგან მან ვერ შესძლო სამეუნეო ცხოვრების აღდგენა და ვერ გადასჭრა ვერც ერთი საკითხი, რომელიც ცხოვრებამ დაუყენა წინ.

მუშათა კლასი, რომელსაც ისტორიამ დაავალა ახალი ცხოვრების ახალ ურთიერთობის ნიადავზე მოწყობა წან იჭრება და ქმნის საომარ რევოლუციონურ ცენტრებს. მის წინაშე მკათეოდ სდგას საკითხი: რა გვარი გაერთიანება არის საკირო საერთაშორისო პროლეტარიატისთვის?

ჩვენ ვიცით, რომ მუშათა კლასობრივ-პროფესიონალურ მოძრაობას, მის საერთაშორისო გაერთიანებისკენ ლტოლვას თავისი ისტორია აქვს. მართლაც სახალხო მეურნეობის და აღებ მიცემობის განვითარებამ დიალექტიკური კანონის აუცილებლობით წარმოშვა საერთაშორისო მკიდრო ერთეულების შეკავშირების აუცილებლობა. მთელი კაცობრიობა სულს ლევდა ინტერნაციონალური ბურჟუაზიის ეკონომიური აპარატის ქსელის ქვეშ.

ამერიკული ანუ გერმანული კაპიტალისტური ტრისტის მსოფლიოს რომელიმე წარმოების სანავეში იღვა.

სამაგიეროთ, ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორების გამო ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასის სტიქიურ ლტოლვას საერთაშორისო გაერთიანებისკენ.

არაქტიკული ცხოვრება ანახებდა მუშათა კლასს თუ როგორ შეკავშირებულათ მოქმედებდენ

გაბატონებული კლასი და მათი მთავრობა. კიდევ მეტიც, მუშათა კლასი უშუალოდ უყურებდა თუ ადგილობრივი ბაზარი როგორი თანდათანობით ღებულობდა საერთაშორისო კაპიტალისტურ ბაზრის ხასიათს.

ყოველივე ეს აუცილებლობის კანონის ძალით და უაღრესი საჭიროების მიხედვით საჭიროთ ხდოდა შრომის ნიადავზე შეკავშირებას საერთაშორისო მასშტაბში.

მე-60 წ. ასეთი გაერთიანებისათვის არ იყო მომზადებული ნიადავი. მაგრამ ღირს-შესანიშნავი ხანა მუშათა ინტერნაციონალური მოძრაობისათვის იწყება 1864 წ. აქ ფაქტიურად ისკენება პირველი საძირკველი მუშათა ინტერნაციონალურ ასოციაციის. ინგლისის და საფრანგეთის პროლეტარიატი ამ დღეს პირველად აწყობს უმთავრესად წმინდა მარტინეს დარბაზში. მიტიგზე შეთავრესად რუსეთის ბიუროკრატის წინააღმდეგ ილაპარაკეს, რადგანაც რუსეთის მაშინდელი მთავრობა სასტიკი ზომებით აწმობდა პოლონეთის აჯანყებას. აქ მუშები ირჩევენ კომიტეტს, რომელსაც ევალება პროგრამის გამომუშავება ინტერნაციონალური მუშათა ამხანაგობის დასაარსებლათ.

ამ ხნიდან მუშათა ეს ინტერნაციონალური ორგანიზაცია იწყებს ბრძოლას და ის არ შეწყვეტილა, სანამ შინაურმა უთანხმოებამ მის ბოლო არ მოუღო. სწუათა შორის აღსანიშნავია რომ ამ ინტერნაციონალმა 1866 წ. მოითხოვა ინტერნაციონალური შრომის დამცველი კანონმდებლობა და მუშათათვის რვა საათის სამუშაო დღე ამის საპასუხოდ 1880 წ. შევიცარიის მთავრობამ შეკითხვა დაუვზაფა ვერობის მთავრობებს ინტერნაციონალური ბჭობის მოწვევის შესახებ. 1890 წ. ქ. ბერლინში მოწვეული იქმნა შრომის დაცვის კონგრესი ვერმანიის მეფის თაოსნობით, რომელმაც აღიარა შრომის პირობების ინტერნაციონალურათ მოწესრიგების საჭიროება.

ამ ხნის განმავლობაში მუშათა მოძრაობა თანდათან ძლიერდება—თითქმის ვერობის ყველა სამრწველო ცენტრებში ეწყობა მუშათა პროფესიონალური კავშირები და ღონდონის მუშათა ინტერნაციონალურ კონგრესზე პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალურ მასშტაბში გაერთიანება უმთავრეს საკითხად გადაიქცა.

სკანდინავიის ქვეყნების პროფკავშირების კანგრესიდან იწყება ნამდვილი, მთლიანი ისტორია პროფკავშირების ინტერნაციონალში გაერთიანების. 1901 წ. ისახება ნამდვილი გაერთიანება მსოფლიო პროლეტარიატისა პროფკავშირების ინტერნაციონალში.

შემდეგ კონგრესებზე იყო შექმნილი ინტერნაციონალური ბიურო, რომელიც 1919 წ. იყოფებოდა გერმანიისაში. 1919 წ. ის გადატანილ იქმნა ქ. ამსტერდამში.

ამ ხნის განმავლობაში ყველა ქვეყნის პროფკავშირების მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ორგანიზაცია მეტად საჭირო და ცხოველყოფილი დაწესებულება იყო, რომელიც დღითი დღე

ძლიერდებოდა და ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს იძლიერდა. პროფკავშირების ინტერნაციონალი ამ-ლიერებდა მუშათა შეშინებებს და უმზადებდა ნია-დაგს თავისუფალი შრომის ხელისუფლების წყობი-ლებას.

მიუხედავად იმისა, რომ მუშათა მოძრაობამ შე-ქმნა საუკეთესო კლასობრივი ორგანიზაცია ბურ-ჟუაზიული სისტემის მოსასპობათ—პროფკავშირების ინტერნაციონალი—მის წიაღში იზრდებოდა ოპორ-ტიუნისტული მიმდინარეობა, რომელმაც დაშალა საერთაშორისო მუშათა კლასის გაერთიანება და და-რავა პროფკავშირების ცალკე გაერთიანებანი მო-წინააღმდეგე ბანაკებად.

1914 წ. აღმოჩნდა, რომ პროფკავშირების მო-ძრაობამ დაკარგა ინტერნაციონალური გზა და გა-ხდა ბურჟუაზიული პოლიტიკის მახანჩალა. იმპერია-ლისტური ომის დროს იმდენათ დაქვეითდა მუშათა

პროფკავშირების მოძრაობა, რომ გერმანიის და უნგრეთის მუშები ალმაკერათ უკუტრებდნენ პროფე-სიონალურ მოძრაობას, ის ზედმეტ და დასა-ჯე-მულ მუშათა ორგანიზაციათ მიანდათ. ერთი სიტ-ყვით, ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ იმსხვერპლა დროებით პროლეტარული იდეოლოგია.

მაგრამ დროს განმავლობაში მუშათა კლასმა აშკარათ დაინახა ომის საშინელება, მან თავის ზურ-გზე გადიტანა მთელი მისი სიმწვავე, ის იძულებუ-ლი გახდა გადაესინჯა განვლილი გზა, შეეუასებია თავისი ხელმძღვანელების საქციელი, ამ გზით პრო-ლეტარიატმა ბურჟუს თავი დაახწია და მორიგ სა-კეთხათ დასეგ. პროფკავშირების ინტერნაციონალის ახალ შინაარსით და ახალ ნიადაგზე მოწყობა. რო-გორ წარმოიშვა ახალი ინტერნაციონალი, ამაზე შემდეგ.

ანგანი.

გაუმარჯოს მშრომელ ხალხის ნება-სურვილებს გამომსატველს და მის ინტერესებებს მედგარ დამცველის მუშათა კლასის წიაღში წარმოშობილის საბჭოთა მთავრობის!

## საწარმოო კავშირთა მორიგი საკითხები.

### I. რევოლიუცია და მუშათა კლასი.

საერთოდ რევოლიუციის და განსაკუთრებით პროლეტარულ რევოლიუციის სასიცოცხლო მაჯის ცემა და გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე თუ რამ-დენათ მხლობელ და მზურვალე მონაწილეობას ღებულობს ძველის დანგრევაში და ახლის აშენე-ბაში მუშათა კლასი.

რევოლიუციაში ორი პროცესი, ორი მომენ-ტია, რომელიც გარკვეულ სახეს აძლევს და გარ-კვეულ ფორმაში აყალიბებს მის ხასიათს, მის შინა-არსს.

რევოლიუცია პროლეტარიატის ფართო მასის ხელში ყოველთვის იღებს სოციალისტურ სახეს, ბელადების ზედზე მიგდებული კი „მეცნიერულ სო-ციალიზმის“ იარაღით ბურჟუაზიულ სამრსელში გახვეული, კაპიტალიზმის სამზარეულოსაკენ უხვევს რევოლიუციების ისტორია ამ მხრივ ფაქტებით შე-ტად მდიდარია.

რუსეთის რევოლიუცია პირველ პერიოდში ბელადების ხელში ის ის იყო უნდა მომკვდარიყო მუშათა კლასისათვის და მის „სოციალისტურ“ მთავრობას ის ის იყო უნდა დაეწყო ომის წყალო-ბით შერყეულ კაპიტალიზმის აპარატის შეკეთება, მაგრამ მუშათა კლასი აღსდგა, თვით აიღო ძალი-უფლება ხელში და ბურჟუაზიის მოარშიეე „ბელა-დებს“ რევოლიუციაში კარები დაუხურა.

რუსეთის რევოლიუციას, რომელმაც მეოთხე წელში შემოღდა ფები, სწორედ ეს ხალხის ფართო მასა, მუშათა კლასი აძლევდა და აძლევს სასიცოცხლო სტიმულს, ანიჭ. დაანიჭებს სიმტკიცეს ურიცხვ მტრების მოსაგერიებლათ. დენიკინ-კოლჩაკები და ანტანტის პირდაპირი თუ არა პირდაპირი აგენტები, იმიტომ კი არ დამარცხდნენ, რომ ისინი სუსტები იყვნენ, პირიქით მათ საკმაო ძალები ყვანდათ და დიდი სიმ-ღერე ჰქონდათ და ევროპის კაპიტალიზმისაგან ზურ-გის გაშაგრებაც არ აკლდათ, მაგრამ ყოველივე ამან ვერაფერი გააწყო ხალხის სულთან შედუღებულ

და მის ნება სურვილებთან მჭიდრო დაფებით გადაბ-მულ რუსეთის რევოლიუციის საწინააღმდეგოდ. იქ სადაც რევოლიუციისათვის მთელი ხალხი გამოიდებს თავს, იქ სადაც რევოლიუციის საფრთხეს მთელი ხალხი ერთნაირათ შეიგრძნობს, მტერი საშიში არაა და მისი მზაკვრული განზრახვები როგორც კი თავის გულს გაშოსცილდება და ასეთ რევოლიუციის საზღვრებს მოადგება იქვე დანგრევა და განადგურ-დება. სულ სხვანაირათ იქნებოდა საქმე რომ რუ-სეთში კერენსკის რეცეპტით რევოლიუცია ყოფი-ლიყო. მის შინაური და უცხო კონტრრევოლიუ-ციაც იოლად დაძლევდა. მას ხალხი არ თანაუგრძ-ნობდა და ბელადები კი რეალურ და მორალურ ძალას მოკლებული პირველ შეტაკებაშივე დამარ-ცხდებოდნენ

კერენსკის რევოლიუცია სიმტკიცესა და ძლიერ-რებას მოკლებული, რაც ხალხის რევოლიუციისადმი გულცივობით იყო გამოწვეული, დამომბის გზაზე იდგა როგორც შინაურ ისე, საგარეო კონტრრევი-ლიუციასთან. მილიუკოვების ბრძნული რჩევით და რუსეთის სუსტ, მაგრამ დიდ მაღიან ბურჟუაზიის ლოცვა-პურთხევით ის ტყვიით და ციხით უმასპინძ-ლდებოდა რევოლიუციონურათ განწყობილ მუშებს, არაფერს არ აძლევდა ხალხს არსებითად და ევრო-პის კაპიტალიზმის ფალებისა და იმპერიალისტურ ხელშეკრულებათა მიღებით მიიმე უღელს ადგამდა ისედაც ცუდ პირობებში მყოფ მშრომელ ხალხს, მაგრამ მშრომელმა ხალხმა კერენსკის რევოლიუციის ეს საფრთხე თავის დროზე შეიგნო და იარაღით ხელში ქუჩაში გამოსულმა თავის დროზევე მოსუ-ბინა მას ლიკვიდაცია.

სულ სხვა მოხდა ჩვენში. რუსეთში სამარცხვი-ნოდ დამარცხებული „ბელადები“ საქართველოში გვეწვიენ და ჯერ ამიერ კავასიის მასშტაბში და შემდეგ საქართველო სხაზღვრებში იწყეს მენშევიკუ-რათ რევოლიუციის „გადრმავება“. მენშევიზმის

მავლი სიბრძნე საქართველოში დაგროვილი სამი უდიდესი ნაშრომობაში „აბეჯდნიერება“ საქართველოს შრომითი ხალხისა და აზიარება მას „ქვეშაბრტ სოციალიზმთან“, რინაჟისაჟი „ევროპის ამხანაგებში“ საქართველოში დემოკრატიზმის ბრწყინვალეთ გამარჯვებულ ქვეყნად საქელიჟი დაიმახსურა.

სადაღომ საქართველო რუსეთის რევოლუციასთან გამოსული, რუსეთის რევოლუციის მოსწყდა და მას კონტრასტიჟიჟი ჩაუდგა. ამას ჰქონდა თავის მიხეხებები და ამ მიხეხებით ბოროლთ და უსიარტხილთთ ისარგებლა მენშევიჟებმა: საქმე იმაშია. რომ ქართველმა ხალხმა რასაკვირველია შეუგნებლობის წყალობით სათანადო სიფიხილე და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა და გამოუცხადა რა ნდობა მენშევიზმის ძველ რევოლუციონურ წარსულს, გაყეა მას. მაგრამ მენშევიზმა უღალატა თავის რევოლუციონურ წარსულს, სრულებით არ გაუწია მომხდარ ფაქტს და მიმდინარე მომენტს ანგარიში და თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლებში განხორციელებისათვის შეუმუშავებელი პროგრამა მინიმუმსაჟიჟი კული შეაკვეცა, რთაც საშინლათ მოატყუილა და იმედი გაუტრია საქართველოს მუშათა კლასს. რაჟი ხანი მილიონად მენშევიზმი, რევოლუციის და სოციალიზმს თანდათან სცილდებოდა და მისი მოღვაწეობის ასეთი ბუნებაჟიჟი ცხადი ხდებოდა ხალხისთვის. მაგრამ ხალხის გამოფიხილენას მენშევიჟებმა დაასწარეს და სანამ ხალხი მათ ბუნებას და მოღვაწეობას გაიგებდა შეჟქმნეს ძლიერი ადმინისტრაციული და მნიღიტარული აპარატი. ხალხმა გამოსვლა დააგვიანა და შემდეგ თვალგახელილი ტყეიებს და ციხეს ღებულობდა იმათგან, რომელიჟი გუშინ თეთი გაამეფა.

უქანსკელი ხანებში ხალხის უქმყოფილება ზოგჯერ ბრძოლის სახეს ღებულობდა და აჟა თუ იჟა აჯანყებასაჟი იწვევდა, მაგრამ მენშევიზმის მიღიტარული აპარატი ანტანტის იმპერიალიზმის სუბსიდიით გამაგრებული თავისას შერგებოდა და საქართველოს მენშევიზმს ევროპის რეაქციის საკეთილდღეოთ სიციცხლის დღეებს უგრამელებდა.

საქართველო საუკეთესო მაჩვენებელი იმის თუ ბელადების ხელში როგორ ეშვება რევოლუცია თავდაღმართისაჟენ და თუ რას ნიშნავს როდესაჟი ხალხსა და რევოლუციის შორის ხიღია გადებული. ასეთ პირობებში ხალხის ძლიერი გაეღენისაგან და მის წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი ბელადები აშკარა იარაღად ხდებიან რეაქციისა, ხალხის დამონებისა და გაყვლეფის საქმეში. ასე ყოფიღია სხვაგან და ასევე მოხდა ჩვენში. ისტორიის გაღეფვალ კანონს ვერც ჩვენი ქვეყანა ასცდა და მანაჟი იგემა რევოლუციის გამაღრმავებელი ბელადთა მოღვაწეობა.

იმის სერიოზულად მტკიცება რომ საქართველოში 1917 წლის ოქტომბრიდან რევოლუცია არ ყოფრღა — ზედმეტია, ვინაიღან ეს ყვეღასათვის ცხადი და გუშინდელი ნათელი ამბავია. ამ ხნიღან მუშათა ბელადების ხელით კეთდებოდა საქართველოში მხოლოთ შავბნელი რეაქციის საქმე და შრომელი ხალხის ოყლით და მოინაგართ სუქდებოდა მშრომელ ქვეყნის და რუსეთის რევოლუციის მიერ გაღმორეკილ უცხოელითა ყოვეღნაირი ჯურის საეკულიანტები და კომბინატორებმა. ხალხი ჟი სიმშიღლით და სიცივით წყდებოდა. და ასეთი მოღვაწე-

ობით ფიქრობდენ მენშევიჟები ქართველ მშრომელ ხალხის გაბედნიერებას და სოციალიზმის სამეფოში შეყენას. და რაჟი მთავარია ისინი ამაში სირიოზულად იყენენ დარწმუნებულნი და ამას სერიოზულადც ამტკიცებდენ. კადეტების ტერმინოლოგია და ოქტომბრისტების მოღვაწეობის პირობები, რუსეთის რევოლუციით დასამარებული, საქართველოში მენშევიჟების მოღვაწეობით გაცოცხლდა და აპიტალიზმის მიერ მოსყიდულ მწერლუკანების დასაბუთებით ასაბუთებდენ მენშევიჟებიჟიჟი აგვარ დემოკრატიზმის გზით სვლას სოციალიზმში შესასვლელოდ.

მაგრამ დაუბრუნდეთ საგანს და ვიკითხოთ ამ მხრივ დღეს საქართველოში როგორ მდგომარეობასთან გვაჟს საქმე. აჟი უკვე რევოლუციის წითელი დროში ფრიაღებს და გაცხარებული რევოლუციონური საღმშენებლო მუშაობა სწარმოებს. ამ რევოლუციის სათავეში ისეთი პარტია სდგას რაჟი იმის მაჩვენებელია, რომ რევოლუცია ხალხისაგან არ გაიღითშება, მაგრამ რევოლუცია ხალხზე დაყრდნობა მარტო ქაღალღზედაც რომ არ დარჩეს, ამისთვის საჭიროა ამ მხრივ ძლიერი მუშაობის წარმოება. ხალხი უნდა ჩავებათ სარევოლუციო საღმშენებლო მუშაობაში და აქტიური მონაწილე უნდა გავხადოთ რევოლუციის პროცესისა. ყვეღაფერი ხალხის ფართო მასების მონაწილეობით უნდა კეთდებოდეს და ხალხისავე საშუალებით, მაგრამ ამის ისეთი ფიქტიური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს როგორც მენშევიზმის რევოლუციის დროს ჰქონდა.

საწარმოო კავშირის ერთი უღიდესი მოვალეობა და დანიშნულებათაგანი სხვათა შორის ისიცაა, რომ ამ მხრივ ხალხი და რევოლუცია ერთმანეთს შეადეღლოს და მით სოციალიზმის განვითარება სწორ გზაზე შეაყენოს. პროფესიონალური კავშირები დღეს საწარმოო კავშირებათ გადაკეთების პროცესში მყოფი არ უნდა დაქმყოფიღდეს ამიერიღან მარტო მუშათა კლასის ვიწროდ გაგებულ პროფესიონალურ ინტერესებზე ზრუნვით და მუშათა კლასის ფართო წრეები უნდა ჩააზას საამშენებლო მუშაობაში. ძველი საზღვრები სახელმწიფოსა და კავშირებს შორის დღეს მომღიღია და დამოკიდებულებაჟი ურთიერთ შორის სხვანაირი უნდა იყვეს. საწარმოო კავშირებში სოციალისტურ საქართველოს სახელმწიფოს ერთი უმთავრესი შემადგენელი ორგანოა და არა დამოუკიდებელი ერთეული სხვა მიხნების და ლტოღვის პატრონი. კავშირი ადგილობრივ ცხოვრებაში ჟერი რამდენიმეთ და შემდეგ საგვებით უნდა ვახდეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ხელის უფლებების გამატარებელი.

საქართველოს ნორჩ საწარმოო კავშირებს ამ მხრივ დიდი მუშაობის გაწევა მართებთ. ეს მუშაობა უეჟვეღია რთული და ძნელია, მაგრამ არა დაუღლეელი და გარდაუფელი, შრომა ყვეღაფერს შეიძლებს და მით უმეტეს ამას. მხოლოთ საჭირო ასეთი მუშაობა აქედანვე იქნას დაწყებული დიდი ენერგითა და დიდი მასშტაბითაჟი.

**2. ბრძოლა შეუგნებლობასთან.**

საწარმოო კავშირებმა რომ თავისი დიდი დანიშნულება პირნათლათ შესარულონ და სოციალიზმის ნარეკლიანი გზა რომ საგვებით გაკათონ და განსწინდონ, ამისათვის საჭიროა მისი შემადგენელი



წევრები განვითარების სათანადო დონეზე იდგნენ და გათვალისწინებული ჰქონდით, როგორც დღევანდელი რთული მომენტი ისე ამ რთულ მომენტში მუშაობის ზაზი და გეზი.

კავშირების მუშაობა უმეტეს შემთხვევაში ქალაქს ვერ გასცილდება, დადგენილების იქით ვერ წაევა და ფრაზიოლოგიას თავს ვერ დაახწევს, თუ ასეთი შეგნება არ იქნა მუშათა მასაში.

დადგენილებათა ხორცშესხმისათვის და დიდ იდეების ცხოვრებაში განხორციელებისათვის აუცილებელი საქირაო სალი ქეშმარიტი რევოლიუციონური შეგნება მასიური გახდეს.

შეგნების დანე მრავალმხრივ საზღვრავს რევოლიუციონურ მოღვაწეობის ფარგალს. ის რევოლიუციონური მოღვაწეობა ნაყოფიერია და შის მუშაობას აქვს მეტი მუდმივი მეტი გაზანგძლივებული ხასიათი, რომელიც ხალხის შეგნებას ემყარება და ხალხის ამ მხრივ მდგომარეობას ანგარიშს უწევს. შეუგნებლობას ბევრი დიადი და მშენიერი ღონისძეგები უმსხვერპლია, ბევრი კარგი საქმე დაუმარტვბება და ზოგჯერ სოციალიზმის საქმე რამოდენიმე წლით უკან დაუწევია.

სიმართლე უნდა ითქვას რომ ამ მხრივ საქართველოს მუშათა კლასის ფენები ვერ დგანან საქირაო და სათანადო დონეზე. წარსულშიაც ბევრჯერ გამოუჩენია მას ეს და დღესაც იმენს. ზოგჯერ და ზოგიერთ შემთხვევაში. ჩვენ ექვი არ გვებარება რომ საქართველოს მშრომელი ხალხი რევოლიუციონურათ განწყობილია, მაგრამ ის კი ვიცით რომ ხშირად ეს რევოლიუციონური განწყობილება სტიქიურია და შეგნებით არაა განმტკიცებული. ამიტომაც მუშათა კლასის ერთ ნაწილს კიდევ ვერ დაუფასებია სასვებით მომხდარნი ამბავი, ვერ გარკვევია მდგომარეობას და ამა თუ იმ მოვლენასთან ვერ დაუკავებია თავის ქეშმარიტ ინტერესების მიხედვით სასურველი დამოკიდებულება. ამითვე აიხსნება ზოგიერთ მუშის დღევანდელი სკეპტიკოსობა და თავის ჩაქინდება. მისი ყალბი ილუზიები ცხოვრებამ არ გაამართლა, ის ფარხზალს ყრის, უიმედობას ეძლევა. ვინც რას ეტყვის იმას უსმენს და ზოგჯერ უჯერის კიდევ. მას უნდა ერთბაშათ სამოთხის დაშყარება. ის ყოველგვარ რთულ მოვლენას პრიმიტიულათ უყურებს. მას არა აქვს ნათელი წარმოდგენა ბრძოლის საზღვრებზე. ის მაშინ სთვლის ბრძოლას დასრულებულათ, როდესაც საქმე არ გაკეთებულა. ამა თუ იმ მოვლენას იმის მიხედვით აფასებს თუ იმ წამს რა სარგებლობა მოიტანა. მომხდარი მოვლენის მომავლისათვის მნიშვნელობა მას ხშირათ არ ესმის.

არც წარსულის მაგალითებს იყენებს, არც მომავლისაკენ იყურება.

რისთვის უნდა დავმალეთ, უნდა ითქვას რომ ასეთი მუშები თუმცა უმრავლესობა არა, მაგრამ მანინტ ბევრი გვყავს. მართალია ისინი ამ სახეს ყოველთვის არ აჩენენ. მაგრამ გულში კი არიან ასეთი და უნდა აღინიშნოს ეს არა იმისთვის რომ ასეთი გარემოების გამო რევოლუციონური მუშაობა გაგანელოთ, არამედ, რომ მას სასტიკათ შევებრძოლოთ. იმის შეგნება რაც არის ნახევარი საქმის გაკეთებას წარმოადგენს იმისას რაც უნდა გაგაკეთოთ. სამწუხარო მოვლენის წინაშე თვლის დახუჭვა სრულებითაც არაა საქირაო საქმისთვის.

როგორ და რა გზით უნდა შევებრძოლოთ შეუგნებლობას და განუვითარებლობას, არ საათხი რომელიც სდგას ახლად ფებ ადგილელ საქართველოს საწარმოო კავშირების წინაშე. კავშირებმა ამ საკითხს ჯტროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ და ის ყველა სხვა საკითხებზე ადრე უნდა გადასწრან, განვითარების შეტანა მუშათა მასაში გზას გაუკეთენ დიდ ხასიათის სოციალურ მუშაობას ჩვენში და განუდვილებს ამგვარ მოძრაობას წინსვლას და შიხნის მიხწევას.

ამ მიზნისათვის უნდა მიემართოთ იმ მდიდარ პრაქტიკას, რომელიც გვაქვს რუსეთის მ წ. მოღვაწეობის სახით და იქიდან უნდა ვისწავლოთ ჩვენი ცხოვრების პირობებთან შეფარდებით თუ როგორ უნდა შეუგნებლობასთან ბრძოლა.

წარსულ ნომერში დაიბეჭდა დებულება კულტურულ განმანათლებელ განყოფილებისა რომელიც ნათლათ და გარკვევით ჩამოსხმულია მუშაობის გეგმა. უნდა დავიხსოვოთ, რომ ეს გეგმა იმისთვის არაა დაწერილი, რომ კედელზე გამოკიდონ. ან მაუდ ქვეშ ამოღვან, არამედ იმისთვის, რომ ამის გარშემო ცხოველი და დიდი ხასიათის მუშაობა გაჩაღდეს. კავშირებმა თავისი მოვალეობა მანამ არ უნდა ჩათვლოს შესრულებულათ, სანამ მას პირნათლათ არ განახორციელებენ ცხოვრებაში და სანამ მუშათა წრეებში ფენ მოკიდებულ შეუგნებლობას საბოლოო ლიკვიდაციას არ მოუხდენენ. ეს გეგმა ფორმისთვის თუ ისტორიის არქივისათვის არაა დაწერილი და ასედაც არ უნდა დარჩეს ის. საქირაო პრაქტიკულათ მისი ცხოვრებაში გატარება.

**3. უნდა ითქვას, უნდა გაკეთდეს!**

აშკარათ უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოს მუშათა კლასს მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდება ცხოვრება. მის დღევანდელ გაქირვებულ მდგომარეობას შორეულ წარსულში აქვს ფესვები ვადგმული და დღეის მიხეზიით არაა შექმნილი. ოთხი წლის ომმა და ამდენივე ხნით მენშევიკების მატყუარობამ შექმნეს ეს პირობები.

მდგომარეობა იმდენათ კრიტიკული და სერიოზულია რომ მის გამოსწორებას ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება. სამწუხაროთ ეს ქეშმარიტება დღეს ყველას არ ესმის და რაიმე დანაკლისის მასში ნერვიანობას იწვევს. ტყეობად ჰგონიათ ასეთ გულუბრყვილო და ობივატელის ფსიხოლოგიით გაყენთილ ამხანაგ მუშებს რომ ამ ქვეყნათ ერთი დღის მუშაობითი დამყარდება სამოთხე და ერთი დღის გამარჯვებით ბრძოლა საქამაო ყოველგვარ უსამართლობის მოსასპობათ. ეს ძალიან ვიწრო პრიმიტიული შეხედულებაა სადღეისო მუშაობაზე.

მუშამ, რომელსაც სერიოზულად შეგნებული აქვს თავისი კრიტიკული მდგომარეობა და სერიოზულადაც სურს შეებრძოლოს მას. უპირველეს ყოველისათ თავი უნდა დაახწიოს ერთხელ და სამუდამოთ ყალბ ილუზიებს და თვითვე უნდა შეუდგეს თავის ბედის თავის შრომითა და მაჯით უკედ გამოქედვას. კაპიტალიზმის დაცემის შემდეგ კაპიტალიზმის მემკვიდრეობისაგან დანატოვარ გაქირვებასთან ბრძოლა შრომითა და მუშაობითაა საქირაო და არა წყუწუნითა და ამა თუ იმ პირის და ორგანოს მოღვაწეობის დაკილვით. მხოლოდ შეგნებით აღჭურვილი უნდა ჩავებათ ყოველ დღიურ პრაქტიკულ

მუშაობაში და ერთი წუთითაც არ უნდა დაევიწყოთ, რომ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, მარტო მედვარე მუშაობით შეიძლება.

საქართველოს პროფ. საწარმოო კავშირებმა ამ მხრივ მდგომარეობა სათანადოთ უნდა გაითვალისწინონ და თავისი მოღვაწეობა, მის შესაფერისადაც უნდა მომართონ. დღეს, საქართველოში, თუ ექნებოდა მაშლარი და დაღმარებული ეს უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი მას-გლეხობა და მუშათა კლასი. მუქთახორებს ამიერიდან უნდა მოესპოთ უშრომლოდ ცხოვრების ყოველგვარი საშუალება და მთელი საქართველოს სიმდიდრე როგორც ბუნებრივი ისე ამ მუქთახორათა ცარცვით შეძენილი მშრომელთა საქირობას უნდა მოხმარდეს. უნდა შეიქნას ისეთი პირობები (და თუ საწინააღმდეგე არსებობს უნდა მოისპოს) რომ ის ვინც არ შრომობს, დამიშვს და დაგოახადეს. ბრძოლა და სიმშლით ამოწყვეტა მუქთახორებს, დახმარება და გვერდში ამოღება მშრომელთ.

საწარმოო კავშირები ამ საქმეში არავის შეეწყურე და არავის მოიმედე არ უნდა დარჩეს და მის საქირობაზე ზრუნვას თვითვე უნდა შეუდგეს. სოციალისტურ საქართველოს მუშებს არც შეშენის და არც უნდა ჰქონდეს კაპიტალისტური სახელმწიფოების იმედი.

ჩვენს ქვეყანა იმდენათ მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით, რომ ფუ შრომა და ენერჯიული მუშაობა იქნება აქ არც ისე მწვავეთ უნდა დაისვას მუშათა გამოკვების თუ მომარაგების საკითხი. ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან მართალია ბევრი რამ დაგვირდება, მაგრამ რაც დაგვირდება იმის საფასური აქ ზედმეტი სიმდიდრეც ბევრი გვაქვს, რასაც ამიერიდან ევროპის ბურჟუაზიის შეილებიანთის საქირო კუკლებსა და მათ ქალობატონების „ღუხუბ-წასაცხებლებში“ არ გავცვლით.

მეორე მხრივ საქართველო სამრწველო პერსპექტივებით დიდი მდიდარი და დიდი შესაძლებლობის ქვეყანაა. ნედლი მასალისა და მდინარეების სიმრავლე და ამასთანავე სათბობი მასალით სიმდიდრეც მრწველობის აყვავებისა და აღორძინების საუკეთესო საწინდარია.

მაგრამ ყოველივე ეს მომავლის საკითხია და დღეს შროლოთ სამწუხარო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მთელი ჩვენი ძალღონის მაქსიმუმი უნდა გამოვიჩინოთ და შინაური ბაზარი საესებით მშრომელი ხალხის გამოკვების საქირობისათვის გამოვიყენოთ. ეს ბაზარი უპირველეს ყოვლისა უნდა გავწმინდოთ სპეკულიაციისგან, რომელიც ბურჟუაზიის გაქცევისა თუ დაცემის შემდეგ კვლავ დარჩა ჩვენში: ის რაც ხალხს აქვს გასაყიდი მომხმარებელმა ისე უნდა იყიდოს, რომ ხალხსა და მომხმარებელის ზურგზე არავინ გასუქდეს..

კავშირებმა და მისმა ცენტრალურმა ორგანომ მუშათა გამოკვებისა და მომარაგების საკითხი მორიგ საქითხად უნდა დასვან, ამ მხრივ ერთი მთლიანი გეგმა უნდა გამოიმუშავონ და მისი ცხოვრებაში გატარებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ. სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს. დიდი ენერჯია და მკაცრი სამხედრო დისციპლინაა ამ საქმეში საჭირო. ამ მხრივ ყველამ უნდა დაინახოს და დარწმუნდეს, რომ შესაძლებლობის საზღვრებში ყველაფერი კეთდება: საწარმოო კავშირების მოვა-

ლობაა ამ მიმე საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს.

#### 4. საწარმოო აგიტაცია.

საბჭოთა წყობილებას საქართველოში მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდება თავისი ხელისუფლების განმტკიცება, ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც მათ გადამოცა ბურჟუაზიულ მენშევიკურ მთავრობისგან დაშლილ ეკონომიურ ცხოვრების სახით, ეჭვი არაა საამშენებლო მუშაობისათვის რთულ პირობებს წარმოადგენს.

მაგრამ მენშევიკების ბრძნულ ეკონომიურ პოლიტიკით, ეკონომიურ მდგომარეობის მხრივ გაპარტახებულ საქართველოს ზედ დაემატა მათგან უკანასკნელათ გაცარცვა და საქართველოს მართალი სიმდიდრეთა უცხოეთში გაზიდვა, რაც ისედაც გართულებულ ეკონომიურ მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა მენშევიკები თითქმის 4 წლის განმავლობაში ხალხს სისტემატიურად ატყუილებდნ და თავის რევოლუციის „გამაღრმავებელ“ მოღვაწეობით ხალხის ხარჯზე სამშობლოსა თუ უცხოეთის სპეკულიანტურ ბურჟუაზიას აძლიერებდნ, რის გამოც ხალხი გაგნებული და რამდენიმეთ უიმედოა მომავალზე, მაშინ სურათი სრული იქნება და საადამშენებლო მუშაობის სიძნელეც ყველასათვის ცხადი და ნათელია.

და ამგვარ პირობებში უხდებათ დღეს საბჭოთა წყობილების ხელისუფალთ ძველი ურთიერთობისა და აპარატის საესებით დანგრევა და ახლის არსებითად დაფუძნება.

ამის შესრულება რასაკვირველია მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ არც იმდენათ ძნელი, რომ მისი დასლვა არ შეიძლებოდეს, მხოლოდ საქიროა რკინის ენერჯია, ვაკეებელი ნება და თავდადებული შრომა, რათა ხალხში ისევე დაინთოს მენშევიზმის მოღვაწეობით ჩამქარალი რევოლიუციონური ცეცხლი, ისევე დაუბრუნდეს ხალხს გაცრუებული იმედი და აღედგინოს რწმენა უკეთეს მომავალზე. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, გამოცემულია მრავალი მნიშვნელოვანი დეკრეტი ცხოვრების ფართო მასშტაბით გარდასაქმნელათ და ახლო საქმე მათი შესრულება და მათი ცხოვრებაში გატარება.

და მუშათა პროფესიონალური კავშირები, რომელიც ამ ეამათ საწარმოო კავშირებათ გარდაქმნის პროცესშია, უნდა დადგენ მდგომარეობის სიმალეზე და უნდა პირნათლად შეასრულონ ის დიდი მოვალეობა, რომელსაც მათ აკისრებს დღევანდელი მომენტი და რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ვაატარონ ცხოვრებაში მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ შემუშავებული ზომები პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებელი და განამტკიცებელი.

ყოველმა მუშამ, რომელიც წევრია ამა თუ იმ კავშირისა უნდა იცოდეს რომ საქართველოში ბურჟუაზიული კლასის დამხობით და მათი პოლიტიკურ ეკონომიურ ბატონობის დანგრევით მუშათა კლასს სამუშაო და სამოღვაწეო ასპარეზი კი არ შემციობება, პირიქით გნფართოვდა და გაღრმავდა.

გუშინდელ, მუშათა უფლებებო, ბურჟუაზიულ კლასისათვის სრულიად საიმედო, პატარა ხასიათის ეკონომიურ ორგანიზაციიდან, დღეს იქმნება, უდიდესი სამეურნეო ხასიათის ორგანიზაცია, - საწარმოო კავშირები, რომლის მოღვაწეობის კომპენტეციაში შედის არა მარტო მის შემადგენელ წევრების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, არამედ თავის სამეურნეო ხასიათის მოღვაწეობით სახლმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებაც, რის გამოც მას ახლა მეტრ მუშაობის, მეტი შრომის და მეტი ენერგიული მოღვაწეობის გამოჩენა მართება.

მართალია კაპიტალის ბატონობა დაემხო საქართველოში და მით მუშათა კლასის საქართველოს საზღვრებში მისი დაუძინებელი მტერი შინაურ ბრძოლის ასპარეზიდან გაექცა, მაგრამ ვაჭკვევით ეს მტერი არ მოსპობილა და მარტო შინ გამარჯვებაც არაა საკმაო მუშათა კლასის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფათ. მუშათა შეკავშირება, ერთ მტკიცე ორგანიზაციაში შედუღება ისე არასოდეს ყოფილა საქიროუ როგორც დღესაა.

დღეს, როდესაც კერძო პიროვნებათა თუ კერძო ინდივიტის ძლიერა მოსილება ბურჟუაზიულ ციხე სიმეგრის დანგრევისთან ერთათ დაინგრა. და ახლა ყველასათვის ცხადია, რომ კერძო პიროვნება ვერც შექმნილ მდგომარეობას გაართობს თავს და ვერც ახალს შექმნის ვერაფერს. მუშათა კლასმა უნდა მოაწყოს წარმოება ახალ საფუძველზე და შეიგნოს, რომ არ-

სებულ ცხოვრებას შიშე პირობებს, რომელ შიშე მას უხდება ცხოვრება ტერაფერი ვერ შესცვლის თუ არა მუშათა გვერდთანებული ძალით მუშაობა, შრომა.

სამრეწველო კავშირების მოვალეობა სამჭოთა წყობილების ამშუბებლობისა და განმტკიცების ხინაში სხვათა შორის ისიცაა, რომ ამ მხრივ წათელი და გარკვეული შეგნება შეიტანოს მუშათა წრეებში, რათა ყოველი ქარხანა, ყოველი სამრეწველო და ყოველი სახელოსნო ამუშავდეს გაცილებით უფრო ძლიერათ, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით ვიდრე წინათ იყო. იქ სადაც წინათ ხუთი ფესსაქმელი მზადდებოდა. დღეს 10-20 უნდა დამზადდეს, იქ სადაც 10 ტანისამოსი იკვრებოდა დღეს 20 უნდა შეიკვროს, სადაც 10 ხე იხერხებოდა 20 უნდა დაიხერხოს და ასე იმ ორმა შეგნებით, იმ ორმა რწმენით რომ ყოველივე მუშის შიერ დამზადებული მუშებსავე ხმარდება.

სამრეწველო კავშირებს ამ მხრივ დიდი საავიტაციო მუშაობის გაწევა მართებთ და შლიერი საავიტაციო აპარატის შექმნა დასჭირდებათ. კავშირებმა თავისი მისია ამ მხრივთაც პირნათლად უნდა შეასრულონ და საწარმოო ავიტაციით სამჭოთა საქართველოს მდგომარეობის გამაგრებისა და განმტკიცების საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ. ერთი სიტყვით: მუშაობა და მხოლოდ მუშაობა ყოველგან და ყოველ ფორტზე.

გ. მეზუკე.

# გ ა უ მ ა რ ჯ ო ს კ ო მ უ ნ ი ზ მ ს !

## როგორ უაჰყმნათ პროფ. კავშირებიდან საწარმოო კავშირები.

(დასასრული).

საწარმოო კავშირების სხემა.

1) ამომღები მრეწველობა.	1 სასოფლო-სატყეო მეურნეობის კავშირი.								2 მთის მუშათა კავშირი.			
	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
2) გადნახ- მუშაკებელი მრეწველობა.	ლითონ- ზე მონა- მუშავე- თა კავ- შირი.	ბელზე მომწე- ვეთა კავ- შირი	მე- ტყა- მეების	ფე- ქარა- თა	სამ- კარე- ლო წარ- მოე- ბის	პო- ლი- გრა- ფიუ- ლი	მღე- ბავე- თა	ქიმი- კოს- თა	ქა- დალ- დის მორეწ- შაენი	შაქ- რის მრეწ- მომწე- შავე- თა	საამ- მრეწ- მომწე- თა	თამ- ბაქო- ზე მონა- მუშა- ვეთა
3) მართიე- ლობა. კა- ნაწილება. ტრანს- პორტი.	15 რკინის გზუდნი	16 წყლებ- ზე მიმოს.	17 ადგ- ტრან- სპორ- ტის	18 ნაბეო და საგა- ტრო დაწეს. მოსამს. კავშ.	19 საზოგ. გამაყვ. მომწე- ვეთა კავშირი	20 კო- მუნა- დუროი მუშე- ბი	21 სამედი- კო სასა- ნატარო საქმის მუშები	22 სახა- ლხო კავშ. მუშა- თა	23 სახა- ლხო განათ- მუშა- თა	24 ხელთე- ნების მუშათა		



- 1) სასოფლო-საბუჩქო მეურნეობის კავშირში შედიან ბაღების, ბოსტნების და ვენახების მომუშავენი და სასოფლო და საბუჩქო მეურნეობის მუშები.
- 2) მათს მუშათა კავშირში შედიან ნახშირის, რკინის და სხვა ლითონის ამომღებნი, ქვამარილის, ნავთის და სხვა.
- 3) მელითონეთა კავშირში შედიან ლითონის დამამუშავებელი ქარხნები, მქედლები, სახელოსნოები, ელექტრონული სადგურები, მესაათეები, ოპრომქედლები.
- 4) ხეზე მომუშავეთა კავშირში შედიან: ავეჯეულობის ქარხნები, თულუხის გამკეთებელნი, სადურგლოები, ტყის მხერხავი ქარხნები, კალათების დამწველნი და სხვა.
- 5) მეტყევეთა კავშირში შედიან: ფეხსაცმელის სახელოსნოები და ქარხნები, ჩოთების მკეთებელნი და ჯაგრის დამამუშავებელი საქურქე ქარხნები.
- 6) ბეწვზე მომუშავეთა კავშირში შედიან ყველა საქსოვ ქარხნების მუშები და ბაწრის დამამუშავებელნი.
- 7) მკერვალოთა კავშირში შედიან ყველა სამკერვალო სახელოსნოები, წინდის საქსოვები, ქულების მკერავენი.
- 8) პოლიგრაფიულ წარმოების კავშირში შედიან სტამბები, ლიტოგრაფიები, კინოგრაფიები, ამკინძველნი, კარდონის დამამუშავებელნი.
- 9) საკვები წარმოების კავშირში შედიან ფურნები, კონსერვის ქარხნები, საკანდიტროები, ბეწვის დამამუშავებელი ქარხნები, ღვინის დამყენებელნი, ზეთის დამამუშავებელნი, საყასბოები, წისქვილები, ტბილეულობის ქარხნები.
- 10) ქიმიკოსთა კავშირში შედიან: ასაფეთქებელ მასალების, საპნის და ასანთის ქარხნები, საფარმაცევტო ქარხნები, შუშის და ქიმიური ქარხნები, რეზინის წარმოება, ნავთის დამამუშავებელი.
- 11) საწერად სახმარ ქაღალდების დამამუშავებელ წარმოების კავშირში შედის საწერად სახმარ ქაღალდების ქარხანა.
- 12) შაქრის წარმოების კავშირი აერთიანებს შაქრის ქარხნებს.
- 13) სახეობათ-მოძღვრო-სამამუშაო მუშების კავშირი: შენობების აშენება, რკინის გზის და გზატკეცილების გაყვანა, ქვის სატეხი, მიწის მოხრეღი, ხურბოები, მღებრები, ლუმელების ამშენებელნი, შენების საქმეში დამხმარე მეაგურეები, ცემენტის დამამუშავებელნი.

- 14) თამბაქოს მრეწველობაში შედის თამბაქოს ქარხნის მუშები.
- 15) რკინის გზის ტრანსპორტის კავშირში შედიან მუშა-მოსამსახურენი ყველა რკინის გზების, სადგურების და შეკეთებათა სახელოსნოები.
- 16) წყლის ტრანსპორტის კავშირში: გემწე მოსამსახურენი, მდინარეებზე, ტბებზე და ზღვებზე, ნავთსადგურის მტვირთველნი, შეკეთების სახელოსნოები, რომელიც ემსახურება წყლის ტრანსპორტს.
- 17) ტრანსპორტის მუშათა კავშირში მთელი ადგილობრივი ქვეითი ტრანსპორტი, ავტოტრანსპორტი, უცხოეთის ტრანსპორტი, ქალაქის მტვირთველნი, ტრამვაი.
- 18) საბჭოთა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მუშების კავშირში შედიან მ. დ. გ. დეპუტატების საბჭოთა განყოფილებებში მომუშავენი, როგორცაა სამერსა (სახ. სამეურ. საბჭო), სახალხო განათლების და მიწათმოქმედების განყოფილებანი, სსსმართლოს დაწესებულებანი, საგანგებო კომისიები, სასურსათო ორგანოები, საწყობები, მალახიები, დუქნები, კოოპერატიული გამგეობანი, საკავშირო ორგანოები.
- 19) საზოგადოებრივ გამოკვების და საზოგადოებრივების მუშათა კავშირში: სასადლოები, რესტორანები, სასტუმროები, მზარეულები, პირფარეშებნი.
- 20) სახალხო შეერთების მომუშავეთა კავშირში: ფოსტა-ტელეგრაფი, რადიო, ტელეფონი.
- 21) კომუნალურ მეურნეობის კავშირში: აბანოები, მრეცხავები, სადალაქოები, ცეცხლის მქობელნი, მილიცია, დამსჯელი დაწესებულებანი, ქუჩის განათება, კანალიზაცია.
- 22) სამედიკო-სასანიტარო საქმის მუშების კავშირში: საავადმყოფოები, ამბულატორიები, აუთიკები, საავადმყოფოები პირუტყვებისთვის და ყველა ამ დაწესებულებათა მოსამსახურე პერსონალი.
- 23) სოციალისტურ კულტურის და განათლების მომუშავეთა კავშირში: სკოლის გარეშე, სასკოლო და სკოლის წინააღი განათლების მუშაკნი, ყველა უმაღლესი და დაბალი პერსონალი, სკოლები, ბიბლიოთეკები, საბავშვო სახლები, კურნალისტები.
- 24) ხელოვნების მომუშავეთა: თეატრები, ცირკები, სინემატოგრაფები, ოპერა, ბალეტო, მხატვრები, მოქანდაკენი და სხვა ხელოვნების მოღვაწენი.

კ. ოდილაძე.

# მ ვ ე ლ ი ღ ა ა ხ ა ლ ი .

იყო ძველი მთავრობა—საუკუნო განსვენება მიენიჭა მას. მის მაგიერ ჩვენ წინ სდგას ახალი ხელისუფლება. რუსეთის დიდი რევოლუციის ტალღებმა ფუნდამენტულად გადმოსტყორცნა ძველი მენშევიკური მთავრობის მესვეურნი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი ამოეფარნენ კავკასიონის ქედის კალთას და საქართველოს მესაქეობაც იკისრეს. სამი წლის განმავლობაში ეგ ხალხი ძველ იმპერიალისტურ რუსეთის ნაშენ ბოძებზე თავისებურ რადაც ახალს ამშენებდა და ერთხელაც არ ცდილა

დაენგრია რაიმე დარგში ძველი, დახატებულ და ახალის საფუძვლიანი აშენება დაეწყო. ცხადია ძველ ბოძებზე ძველი სტილის, ძველი სახის შენობა აშენდებოდა; მაგრამ ძველ ბოძებზე ნაშენი შენობა იმდენათ სუსტი შეიქნა, რომ საკმარისი გახდა ერთი ქარიშხლის შებერვა. მის დასანგრავათ. სამ წელიწადს გაგრძელდა ჩვენში მენშევიკთა თარეში. სამი წლით ჩამოაშორა ამ ხალხმა ქართველი დემოკრატია რევოლუციონურ აღმშენებლო

ბას. ქართველი ხალხის შემოქმედებითი რევოლუციონური მუშაობა რამიშვილი-ფაჩულიას მეოხებით სამი წლის განმავლობაში ერთ წერტილზე გაიყინა. შენდებოდა ვითომცდა ეროვნული სახელმწიფო. საზოგადოებრივ აღმშენებლობას ყოველთვის თავის შემადგენელი ნაწილები აქვს, ურომლისოდაც ყოველად წარმოუდგენელია მისი აგება; აი ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ყოფილ მთავრობის მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ მის მუშაობაში არასოდეს არ ყოფილა საღი რეალური სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი.

ამ მხრივ საინტერესოა შევხვით ორ მთავარ მხარეს მისი მოღვაწეობისას: სოციალურსა და ეკონომიურს. ის რაც ქართველ მშრომელ ხალხს მენშევიკების სოციალურმა რეფორმებმა მისცა, შესაძლებელი იყო თამამად განხორციელებულიყო ომის, დამთავრებისას ძველი ნიკოლოზის რევიზის დროსაც. მათ სოციალური რეფორმებიდან ხალხს არაფერი უგრძენია რა: პოლიტიკურათ საქართველოში ნამდვილათ თავისუფალი იყო მხოლოდ მენშევიკთა პარტია; მშრომელი ხალხის პოლიტიკური თავისუფლება არ არსებობდა, მისი თავისუფალი აზროვნება დახშული იყო; რვა საათის სამუშაო დღე ფაქტიურათ არ იყო განხორციელებული. მშრომელი მასა იძულებული ხდებოდა დღე და ღამ ემუშაენა. მათი უდიდესი აგრარული რეფორმა სრულ ფიქციას წარმოადგენდა. საქართველოში დაახლოებით მუშახე 0,4 დესეტინა საეარგისი მიწა არის. რეფორმით დაღებული ნორმა სრულიად არ შეესაბამებოდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს. მას ვისაც ბევრი მიწა ჰქონდა რეფორმამდე, რეფორმის შემდეგ შვიდი დესეტინა, ე. ი. 1/3 ქცევა მიანიც დარჩა იმ დროს, როდესაც ჩამორთმეულ მიწების დანაწილებით გლეხს დესეტინის მეოთხედიც არ ხედეობდა. როგორც კი მიწის კანონი გამოვიდა, გაიმართა რიგი ნორმის მოთხოვნისა განსვენებულ ხომერიკთან. ნორმას ეძებდა შვილი, შვილის შვილი, ვათხოვილი, ბებია, ბაბუა და ყველა სულდგმული შთამომავლობისა. ასე, ამგვარად ერთ ოჯახში ნორმა ათ სულს ჰქონდა, ნამდვილი მშრომელი მუშა კი უმიწოთ იყო. ამგვარ კომპინაციებით დიდ შემამულეს თავისი მიწები ხელუხლებელი რჩებოდა. აღნიშნულ რეფორმაში სრულიად არ ყოფილა გატარებული შრომის პრინციპი. იყავი მუშა თუ არა შვიდი დესეტინა შენ გეკუთვნოდა. ამ გარემოებამ უფრო გააძლიერა უმუშევარი მუქთახორა ხალხის მიერ მშრომელთა ექსპლოატაციი. მიწის პატრონმა იჯარა ერთი ორად გააიღა და სხვისი შრომით განაგრძობდა ცხოვრებას. თუ წინათ, მაგალითად იმერეთში, მემამულე მიწის მუშას სამესამედოთ აძლევდა, მენშევიკების დროს ნორმის პატრონს მიწის იჯარაში ნახევარი მოსავალი მიჰქონდა. აი მხოლოდ ევ ნაყოფი მოიტანა მშრომელი გლეხობისათვის მენშევიკების მიწის რეფორმამ.

სხვა დანარჩენი მათი რეფორმები უბრალო ბურჟუაზიულ მთავრობის მუშაობის საზღვარს არ გადასცილებია. ბურჟუაზიული თვალსაზრისით წყდებოდა ყოველივე სოციალური რეფორმა და ამის გამო მშრომელი ხალხი და მისი ინტერესებიც მუდამ გარიყული რჩებოდა.

მეორე უფრო მნიშვნელოვან დარგში—ეკონომიკაში, ყოფილა მთავრობას სრული საქმის სი-

ბეცე, უცოდინარობა გამოიჩინა. მთელი საქართველოს როგორც შინა ისე საგარეო ვაჭრობა, ჩაბრუნდა ანკეულიანტებს ჩაუვიარდა ხელში. სპეკულიაციის წინააღმდეგ მთავრობას არ გამოუტია ალც ერთი კანონი, პირიქით ვინაიდან სპეკულიაციას თბთქმის ყველა მოხელე ეწეოდა, განკარგულებანი და კანონებიც სპეკულიაციის სასარგებლოდ იწერებოდა; თფილისში მოგროვდა ევროპის სპეკულატორთა ალბაშიც. სტუმართ მოყვარე საქართველოს მთავრობა მათ ზეიმებით ხედებოდა. არსებობდა ერთის მხრივ დიდი სავაჭრო სახლი ერობის მეთაურობით. მეორის მხრივ კი სხვილი სპეკულიანტები. ყოველგვარი ადგილობრივი და უცხოეთიდან მოტანილი საქონელი ყოველთვის უფარდებოდა კერძო ვაჭრებს. შემდეგ იძენდა ერობის აგენტები. ამის გამო მთავრობას უცხოეთიდან შემოტანილი ყოველგვარი საქონელი უფრო ძვირი უჯდებოდა ვიდრე კერძო პირთ.

უცხოელ ფირმათა წარმომადგენელ მთავრობასთან არასოდეს არ ჰქონია უშუალო კავშირი. ხშირად დაინახავდით ასეთ მაგალითს: მიდის ერაძის შემსყიდველ ბიუროსთან ვინმე უცხოელი შაქრის მიწოდების წინადადებით და აძლევს ფუთს 10,000 მანეთად, იმ დროს, როდესაც ბაზარზე 15,000 მან. ღირს, მას უარს ეუბნებიან. მეორე დღეს ამ შაქრის პატრონს იქერს ვინმე სპეკულიანტი (ალბად მოგზავნილი შემსყიდველი კომისიის რომელიმე წევრის მიერ) ართმევს ნიმუშს, შაქრს ისევე ერაძის კომისიაში, რომელიც შაქარს იწონებს და 18—20 ათას მანეთს აძლევს ფუთში, აი ასეთი წესით სწარმოებდა ჩვენში ერაძის ვაჭარ კომპანიის ვაჭრობა და ხალხის ინტერესების დაცვა. აი ამ დიდმა სავაჭრო სახლმა, რომელმაც შთანთქა მადელი საქართველოს სიმდიდრე და აუარებელი ფული ისე დალია სული, რომ არც ერთმა მოქალაქემ არ იცის რას აკეთებდა ეს ხალხი, რა იყიდა, რა გაყიდა ან როგორი იყო მისი პირადი შემადგენლობა. ერაძის და კომპანიის ანგარიში, წარმოება არამც თუ უბრალო მოქალაქისათვის, არამედ თვით სახელმწიფო კონტროლისათვისაც მიუვალა იყო.

უფრო საგულისხმიერო ის არის, რომ ყოფილმა მთავრობამ თავის უხეშ სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკით სრულიად მოსპო ჩვენში მრეწველობის ჩანასახი. მან სამი წლის განმავლობაში არამც თუ გასხნა და დაიწყო რაიმე წარმოება, პირიქით მოსპო ჩვენში მრეწველობაც. პოლიტიკურათ ანტანტაზე შეჩერებული, ეკონომიურათაც მისგან მოვლოდა ხსნას. ყოფილი მთავრობის საერთო შეხედულება იყო, რომ ყოველივე ფაბრიკატი მხოლოდ ინგლის-იტალიას უნდა მოეტანა ჩვენთვის, ჩვენთვის ასეთების დამზადების სურვილი არავის ჰქონდა და თუ ვინმე კერძო დაიწყებდა, სასაქონლოდ იღებდენ. როდესაც ერთის წლის წინად ერთ-ერთ მინისტრს მიემართე, აბრეშუმის პარკის ადგილობრივად გადამუშავების შესახებ, მან სიცილით მიპასუხა—განა თქვენ იტალიაზე უფრო კარგათ გადაამუშავებთ ჩვენს პარკს, ჩვენ აბრეშუმს პურზე გადასაცვლელოთ გეჭირდებაო—აი ამაზე შორს არ მიდიოდა მათი სახელმწიფოებრივი აზრდენება, აი ასე ესმოდა მათ ეკონომიკა.



რანების და სასტუმროების რეკვიზიციისა და უმუშევრობა და რჩენილ მოსამსახურეთათვის ლიკვიდაციის მიუცემლობის ნიადაგზე.

გარჩეულია. სულ 32 საკონფლიქტო საქმე. იმ წარმოების წინააღმდეგ, რომელთაც მუშებმა არ დაუტყვევებდნენ ჯამაგირით სრულად, შრომის საკომისარიატო იღებს ენერგიულ ზომებს. ზოგიერთ გაჯიუტებულ წარმოებელი დატუსაღებულია. წარმოებათა რეკვიზიციის გამო უმუშევრათ და რჩენილ მოსამსახურეთა შესახებ შრომის საკომისარიატომ შეიმუშავა სათანადო დეკრეტი და წარადგინა დასამტკიცებლად რეკომში. ამ დეკრეტის თანახმად მუშა-მოსამსახურეებს სალიკვიდაციო მიეცემათ სახელმწიფოსაგან თუ წარმოება გადავიდა სახელმწიფოს უწყებაში. სალიკვიდაციოს პირველი ნახევარი ეძლევა ესლავე და მეორე ნახევარი კი ერთი თვის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი არ მიიღებენ რაიმე ადგილს. ამის გარდა შრომის საკომისარიატომ შეიმუშავა სალიკვიდაციო ჯილდოს ნორმა იმ მოსამსახურეთათვის, რომელიც სახელმწიფომ უნდა დააკაყოფილოს, ეს ნორმა ერთი თვის ჯამაგირით თითო ნამსახურ წელიწადში, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის ჯამაგირისა.

საკონფლიქტო განყოფილებაში შემოვიდა რამდენიმე განცხადება ყოფილ სამომრიგებლო კამერის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შესახებ. საკონფლიქტო განყოფილებამ მიიღო სასწრაფო ზომები სამომრიგებლო კამერის დადგენილებათა დაუყოვნებლივ სისრულეში მოსაყვანათ. ყოფილ სამომრიგებლო კამერისაგან საკონფლიქტო განყოფილებაში გადავიდა 21 განუხილველი საქმე. საკონფლიქტო განყოფილებამ განაცხადა, რომ ეს საქმეები მოსაპობილათ ჩაითვლება თუ 5 აპრილამდე დაინტერესებული პირები არ შეიტანენ სათანადო განცხადებას საქმის გამორკვევის შესახებ.

საკონფლიქტო განყოფილებამ განიხილა რამდენიმე სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა განცხადება მათთვის მანუფაქტურის სახით დახმარების მიუცემლობის შესახებ. ასეთი განცხადებები დააკაყოფილა საქართველოს რეკომმა სახელმწიფოს ხარჯზე.

ასეთია მოკლები საკონფლიქტო განყოფილებაში ოცი დღის მოღვაწეობა.

**ამხ. ერკომაიშვილის მოხსენება.**

გადატრიალების შემდეგ სხვა კომისარიატებთან ერთად შექმნილ იქნა სახალხო სასურსათო საკომისარიატო, რომელსაც დაევალა მეტად მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმე. სასურსათო საკომისარიატოს მუშაობას არ გამოუღია ჯერ შესამჩნევი ნაყოფი, მაგრამ ეს მისი ხანმოკლე მოქმედების და ობიექტ. პირობების ბრალია: მრავალი მიზეზი აფერხებს სასურსათო საკომისარიატ. მუშაობას. საკომისარიატომ კიდევაც რომ მოახერხოს ადგილებზე სურსათის დამზადება, არ ექნება საშუალება მისი გადამოტანისა. ჩვენ მიერ მიღებული ზომები სურსათის მოპარაგებისთვის. მოპარაგებული ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს. რადგან გაქცეულმა მენშევიკებმა წაიღეს რის წაღებაც შეიძლებოდა. ჩვენი თვითონ შემოსვლის დროს ქალაქში იყო მხოლოდ ერთ-ნახევარი დღის საყოფი სურსათი და თუ დღეს ჩვენ გვაქვს პური, გვაქვს მხოლოდ მეზობელ სამ-

ქოთა რესპუბლიკების დახმარებით. შეგვიძლიან ვლადიკავკაიდან და როსტოვიდან პურის შექმნა, მაგრამ დანერგული ტრანსპორტი და გზის მდგომარეობა არ გვაძლევს იმის გადმოზიდვის საშუალებას. მივიღეთ ზომები ვლადიკავკაიდან 10-ი ათასი ფუთი სიმინდის გადმოსატანად და ახლო მომავალში ეს სიმინდი ჩამოტანილი იქნება. ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას ჩვენ მუშაობაში წარმოადგენს პროვინციების მოუწყობლობა. რუსეთში ესლა სასურსათო აპარატი შემდეგნაირადაა მოწყობილი: ყველა პროვინციებში ადგილობრივ იქმნება სამეფოები, რომელნიც იძენენ სურსათის ცენტრებისთვის. მაგრამ რუსეთში ეს შესაძლებელია. სამი წლის საბჭოთა მუშაობის შემდეგ პროვინციებში შეიქმნა მუშაკთა მთელი კადრი, რომელთაც შეუძლიათ ამ საქმის ხელმძღვანელობა. ჩვენ კი სულ სხვა მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენ პროვინციებში თითქმის სრულებით არ გვყავს ხალხი და ამიტომ გვიხდება სასურსათო აპარატების ზევიდან შენება, გვიხდება ამხანაგების პროვინციებში სამუშაოთა გაზავნა და მათთვის განსაზღვრული მიზნების დასახვა. როგორც კი პროვინცია შესძლებს საკუთარ მომუშავეთა მოცემას საქმე გადაეცემა მათ. სანამ კი არ არის ხალხი—გამეორდება ბორჯომის ისტორიები: ახალციხის რაიონში თფილისის მუშებისთვის შესყიდული და დამზადებული კართოფილი ბორჯომის სადგურზე აიღეს და დაუბრუნეს ბორჯომის მუშებს. ასეთ პირობებში მუშაობა ძნელია.

**სახ. ს. კომის. ორგანიზაცია.**

ს. ს. კომის. სათავეში სდგას კოლეგია სამი პირისაგან: კომისარი, კომისარის მოადგილე, რომელიც საკონსტრუქციო რეკომის ადგილის ერთი წევრი გაგზავნილი ს. ს. კ. ს. მიერ. ს. ს. კომის. არსებობს შემდეგი განყოფილებანი: 1) საერთო, 2) საორგანიზაციო, 3) საფინანსო, 4) განმანაწილებელი, 5) დამამზადებელი და 6) სატრანსპორტო.

**სურსათის შესყიდვა.**

ჩვენ ვცდილობთ შექმნებისდაგვართ სურსათი შევისყიდოთ ნატურით. 50% მეტს ჩვენ საკონსტრუქციო ვიხდით. ჩვენ დავზღვეთ ს. ს. კომის. ორი მხარა: გორის და სიღნაღის. იქ შექმნილი პური ჩვენ შეეძლებოდა გავიტანოთ თავი ქირანახულის მოსავლამდის.

წინანდელი მთავრობა არ აწვდიდა პურს ყველა მუშებს. ჩვენ კი თავიდანვე დავადექით: იმ თვალსაზრისს რომ პური უნდა მიეცეს ყველას. ჩვენ გავადიდეთ პურის გამოცობის ნორმა. თუ მენშევიკების დროს ცხვებოდა 1,100 ფუთი პური, ჩვენ ვაცხობთ 2,500 ფუთს, რკინის გზელებისთვის 1000 ფუთის ჩაუთფლელათ. ბევრი ნაკლია პურის განაწილებაში და არ არსებობს საკმაო ტრანსპორტი. ამიტომ მდგომარეობა ესლა უარესდება, სახსრები იღვევა და ტრანსპორტი შეჩერებულია. ჩვენ მიერ დაწესებული ნორმა უეჭველია არ არის საკმაო. მაგრამ დღეს-დღეობით მისი გადიდება შეუძლებელია. ესლა პური ეძლევა ყველას. მაგრამ მალე შემოღებული იქნება შრომის ულუფის საბარათო სისტემა.

ჩვენ დიდი ბრძოლა გვიხდება ცხოვრების გაჭირებასთან. 25-თებერვლის შემდეგ სრულდება



შესწავდა სურსათის შემოტანა. სურსათზე ფასებმა უცბათ აიწიეს. ჩვენ გვისაყვედურეს, ამიტომ შემოვიღეთ ნიხრი. თუმცა დიდ იმედებს არ ვაშქარებთ ამ ნიხრის შემოღებაზე. ჩვენი აზრით აქსულ სხვა-ნაირი ზომები არის საჭირო. როდესაც ჩვენ შემოვიღეთ ნიხრი მოვიწყვიტეთ ვაჭრები და მათთან ერთად შევიმუშავეთ ფასები, ისინი დაგვთანხმდნენ, მაგრამ როდესაც ნიხრი გამოვაქვეყნეთ სურსათი გაქრა. მაშინ ჩვენ ვიხმარეთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც უფრო მართებულიატი მიგვიჩნდა. ნება დავრთეთ სურსათის თავისუფალ შემოსტანას და მოვხსენით ნიხრი პურს, ამის შედეგები დაუყონებლივ გამოჩნდა: პური მაშინვე გაჩნდა და მასზე ფასებმაც იკლეს. შემდეგი ჩვენი მიზანი იყო იაფფასიანი სასაღილოების გახსნა. ჩვენ უკვე გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი ამ მხრივ, მაგრამ აქაც როგორც ყველგან, ჩვენ წინაშე წამოიჭრა დაბრკოლებანი. არა გვყავს ხალხი. ესეა ამხანაგებმა თითონ უნდა მოაწყონ სასაღილოები და ს. სკომს შეუძლიან მხოლოდ დახმარება აღმოუჩინოს მათ. გამოაყვებით თქვენი წრიდან ამხანაგები პროვინციებში გასავხანათ. ჩვენ მოვავლეთ ფულის და ვასაცვლელ საქონელს. დიორაზზე ვერ დამოუკიდებელი, და ახლო მომავალში შევექმნით მძლავრ სასურსათო აპარატს, რომელიც მალე დააყენებს ფეხზე სასურსათო საქმეს. დაბოლოს ამხ. ამბობს რომ საჭიროა დაუყონებლივ სასაღილოების შექმნა. რომ მხოლოდ ამით შეიძლება შექმნილი კრიზისის თავიდან აცილება. სთხოვს ესეა წარმოადგენილ იქნას სასურსათო კომიტეტებში და კავშირებში სია იმ პირთა რომელნიც ისარგებლებენ სასაღილოებით.

შემდეგ ამხ. კარაზი წინადადებას იძლევა მიიღონ აღმოსკომის მიერ შემუშავებული რეზოლუცია.

რეზოლუცია: მოისმინა რა ერქომიანიშვილის მოხსენება სასურსათო საკითხის შესახებ. პ. კ. ს. იწონებს სასურსათო მუშაობის საერთო. ხაზს დაავალეს თავის აღმსრულებელ კომიტეტს დაეხმაროს ს. ს. კომს. რეკორტ მისი აპარატის მოწყობაში, აგრეთვე განაწილების და დაზღვევის მუშაობის საქმეში. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს საჭირო მომუშავეების შოვნაში, რომელნიც შესძლებენ სასურსათო კომიტეტის აპარატის ფეხზე დაყენებას. ამასთანავე პლენუმი აუცილებლათ სცნობს დაევალოს აღმასრულებელ კომიტეტს საზოგადო სასაღილოების გახსნა აღმსრულებელ კომიტეტის მიერ მიღებულ საფუძვლებზე. შემდეგ პლენუმი საჭიროთ სცნობს საბარათო ხისტების სასწრაფოთ შემოღებას, რაც ერთად ერთი საშუალებაა განაწილების საქმეში ანარქიის თავიდან ასაცილებლად. იღებს რა შედეგულაში. რომ საჭირო სამეციალო და წარმოებებში აუცილებელ ტანთ-საცმელის მუშებისთვის რეგულიარულათ მოწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობისათვის, პლენუმი საჭიროთ სცნობს გადაეცეს პროფკავშირთა საბჭოს ს. ს. კომის და სამერსაბის (ჩას. მურნ. საბჭოს) განკარგულებაში მყოფი მასალები მუშებისთვის ტანსაცმელის და ფეხსაცმელის მისაწოდებლათ. განაწილება უნდა მოხდეს ს. პ. კ. ს. ეკონომიურ განყოფილების განკარგულებით: ავალებს და აღმასკომს ყველა ამის ცხოვრებაში გატარებას. პლენუმი აგრეთვე აღნიშნავს სანეკომის მუშათა

ორგანიზაციებთან უფრო მჭიდროთ დაკავშირების და მისი აპარატის მუშურათ გარდაქმნის საჭიროებას. რეზოლუცია მიიღო კრებამ, პ. ხმის. თავის შეკავებით.

**სამერსაბ, მისი ორგანიზაცია და უახლოესი მიზნები.**

მომხსენებელია ამხ. მუჟანაძე: გადატრილიების მეორე დღეს შეიქმნა სამერსას კოლეგია. სამერსაში შევიდა ქალაქთა და ერობათა კავშირი. მუშაობის პროცესში მოეწყო თითქმის ყველა განყოფილება. სამერსას უნდა ხელმძღვანელობდნენ თითონ მუშები და ამიტომ სამერსას პრეზიდენტის ორ შესამედს შეადგენს ს. პ. კ. ს. წარმომადგენლები ერთ შესამედს კი რეკომის და კ. კ. წარმომადგენლები. აგრეთვე სამერსას ყველა კოლეგიების ორი შესამედი შესდგება კავშირების და ერთი შესამედს სამერსას წარმომადგენლებიდან.

სამერსას განყოფილებანი: 1) სამთო, 2) საამშენებლო, 3) სატყეო, 4) მექანიკური, 5) ქიმიური, 6) საფინანსო, 7) მართველობის და 8) მომარაგების საბჭო.

საქართველოში ესეაბან არსებობს 27 სამთო მრეწველობა. უმეტესი მათგანი უკვე მუშაობს. ყველა მრეწველობათათვის უკვე შემუშავებულია ნორმები და საწარმოო პროგრამები. ს მთო განყოფილებასთან მოეწყო განსაკუთრებული სამაღრო მცირე განყოფილება. სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი შესდგება სამი განყოფილებისაგან: 1) აღმშენებლობის, 2) სახელოთმოდერო, 3) თავშესაფარი და სხვა.

სატყეო განყოფილება: შუმა, ნახშირი და შალგები დამზადებულია ერთი წლის სამყოფი. შემუშავებულია საწარმოო პროგრამა.

საანის და ზეთის დამამზადებელი მრეწველობა ესეა შერჩებულია ნედლი მასალის უქონლობის გამო. თფილისში არსებობს ოცამდის: საანის და ზეთის ქარხანა, დამუშავებულ ზეთის რაოდენობა კი არ აღემატება 3000 ფუთს მაშინ, როდესაც შეიძლება 2000 ფუთის ზეთის მიღება.

თითქმის ყველა მექანიკური სახელოსნოები და ქარხნები მუშაობენ, რომელთაც ვერ არ დაუწყიათ მუშაობა, იმათ ასამუშავებლათ მიღებულია ზომები.

მომარაგების საბჭოსთან დაარსებულია სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ბეჭდავს საწყობებს და არკვევს უცხო ქვეყნებდომთა ქონებას. სამერსას პრეზიდენტთან არსებობს სამეცნიერო საბჭო და საგანგებო კომიტეტი წარმოების მრეწველობის საელექტროფიკაციით, შექმნილია აგრეთვე მკვლევართა კავშირი. რომელთაც უკვე მოგვცა რამდენიმე სასარგებლო გამოკვლევა. ახლო მომავალში შეიქმნება ინსტრუქტორთა სკოლა. იქ უნდა გაიზავნონ აწხანაგები კავშირებიდან. ჩვენი მუშაობის დასაწყისში იყო რამდენიმე ცდა ზოგიერთი საქონლის საზღვარ გარეთ გატანისა, ესეა კი მთელი საქონელი დაზღვეულია. სახალხო მეურნეობა არ დაიღუპება, ის საიმედოა ხელშია. საერთო პარობების და კერძოთ ტრანსპორტის გაუმჯობესობასთან სახალხო მეურნეობის მდგომარობაზე გაუმჯობესდება. მაგრამ სახალხო მეურნეობა მხოლოდ მაშინ აყვავდება, როდესაც პროფკავშირები ყოველნაირ

რათ დახმარებას აღმოუჩინეს მას თავის საუკეთესო ამხანაგების საკერძოში გამოგზავნილი.

ამხ. ზარბა. მთელი აზრს ჩვენი რევოლუციონარული შედეგის სახსრებით სამეურნეო საკუთრებას. ყველა სხვა ორგანიზაციის დახმარება რაღაც თანამდებობაზე. პროლეტარული რევოლუციონარული უმთავრესად ეკონომიკური რევოლუციონარული. ბუნებრივია, რომ პროფესიონალიზმმა ორგანიზაციებმა თავიდანვე აიღეს თავის ხელში მრეწველობის ხელმძღვანელობა. კერძოდ, თითოეულ მრეწველობაში კავშირში დაამტკიცა, რომ მუშების მასას შეუძლიან წარმოების ხელმძღვანელობა.

საკირა მთელი მუშათა მასა მუშაობდეს მუშურ-გლეხურ მათავრობასთან შეთანხმებით. მუშათა კლასმა ყოველთვის უნდა იკადრებინა კეთილდამსახურებელი ორგანიზაციები. ქართველი ხალხი უკეთეს პირობებშია, ვიდრე მისი მეზობლები აზერბეიჯანი და რუსეთი. სამხედრო საქმეები დიდ დროს არ გვართმევს. დადგა შედარებითი სიწყნარე, მაგრამ ქვეყნიური საერთო მდგომარეობა კრიტიკულია. ჩვენ ჩავარდით ისეთივე კრიტიკულ ეკონომიურ მდგომარეობაში, რამდენსაც განიცდის მთელი მსოფლიო.

ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ წარმოების განსაზოგადოებრივობით. კავშირები ეხლავე უნდა შეუდგენს მუშაობას სამერსაზო. ჩვენ თავიდანვე ამ გზას დავადგეით, მაგრამ ბევრი დაბრკოლებანი გადავკვებოდა წინ. მუშათა მასები არ იყვნენ საკმაოდ დარბზულნი. კავშირებთან უპირველესათ ყოვლისა უნდა მოეწყოს ეკონომიური განყოფილება, რომელმაც უნდა აწარმოოს წარმოების ანგარიში და მოაწესრიგოს წარმოება. ჩვენ მკიდრობით უნდა დაუკავშირდეთ კავშირების სახერხის განყოფილებას. ჩვენ ახლო მომავალში მოვიწვევთ ეკონომ. განყოფილებათა გაგვეების კრებას საწარმოო პროცესის შესამუშავებლათ. კავშირში მომუშავე ამხანაგები უნდა ზრუნავდნენ უმთავრესად წარმოების კონცენტრაციაზე, ენერჯის მინიმალურ დახარჯვით მაქსიმალურ შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კონცენტრაციის განხორციელებით.

შემოდის წინადადება გადადებულ იქნას კამათი სხდომისათვის, რომელიც დანიშნულია 1921 წელს აპრილის 11-ტს, სლამოს მ-სათვისათვის. სხდომა იხურება 9-ს და 5მ-წუთზე.

### პროფსინოხალური კავშირებში აზნაჯათობი.

მენშევიკთა ჯალათებისაგან განთავისუფლებული ქ. სოხუმის მუშათა კლასი უკვე შეუდგა ორგანიზაციულ მუშაობას.

არ იყვენ ძველი გამოცდილნი ხელმძღვანელები მაგრამ მაინც საკუთარი სუსტი ძალით და კომპარტიის დახმარებით სულ მოკლე ხანში მოეწყო რამდენიმე კავშირი.

ქალაქის პირველსავე ორგანიზაციის პარტიულ სხდომაზე, გამოყო სამი პირისაგან შემდგარი საორგანიზაციო ბიურო (троеца), რომელიც მეორე დღიდანვე შეუდგა მუშაობას. დღეს უკვე ორგანიზაციული მუშაობა დამთავრებულია და დაარსებულია შემდეგი კავშირები:

1. სემსზე მომუშავეთა კავშირი, რომელიც ენერგიულათ მუშაობს. ამ კავშირმა მოაწყო საერთო სახელოსნო. კავშირმა საკუთარ ბინაში დააგროვა მთელი თავისი ინვენტარი და იარაღები და გააჩაღა მუშაობა. კავშირში ირიცხება ორასზე მეტი წევრი. ამორჩეულია სხვა და სხვა კომისიები. კულტ-განათლების საქმეს დიდ ყურადღებას აქცევენ.

2. ტყაზე მომუშავეთა კავშირი. კავშირში ირიცხება ორასზე მეტი წევრი. მოწყობილია საერთო სახელოსნოები. მუშაობა სწარმოებს ნორმალურათ.

3. ასოთ-მწეთათა კავშირი. მუშაობა სწარმოებს გადატრიალების პირველ დღიდანვე. კავშირის წევრებმა მოაწყვეს რამდენიმე „კვირაობა“ „წითელ ფიცარზე“ გამოაკრეს. პროფკავშირში ირიცხება ორას ორმოცდა ათზე მეტი წევრი. არის შემდგარი ყოველნაირი კომისიები.

4. მუთუთუნეთა კავშირი. კავშირში ითვლება სამას წევრამდის. მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

5. სკპ. დამზადებულთა კავშირი. კავშირში ირიცხება ოთხას წევრამდის. არსებობს შემდეგი სექციები:

ბურის მცობელთა, მზარეულთა და დამრიგებელთა.

6. წყლის ტრანსპორტის მუშაობა: კავშირი. კავშირი პირველ დღიდანვე მოეწყო. მუშაობა ნორმალურათ.

7. მუთუვზეთა კავშირი. ეს კავშირიც პირველ დღიდანვე მოეწყო თვით მუშა-მეთევზეების თაოსნობით. მთელი ინვენტარი, იარაღები, ჩამოართვეს მებატონეებს და შეუდგნენ მუშაობას. ნანადირე თევზს აძლევენ სასურსათო განყოფილებას.

8. მსქეპელთა კავშირი. კავშირში ირიცხება ასამოცამდე წევრი. არსებობს სხვა და სხვა სექციები: ხეზე მომუშავეთა, მელითონეთა და სხვა. მოწყობილია საერთო სახელოსნოები, მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურათ.

10. სასჭათა მოსამსახურეების კავშირი. ირიცხება ათასზე მეტი წევრი. არსებობს ადგილობრივი კომიტეტები ყველა განყოფილებებში.

10 კამუხალურა წარმოებას კავშირი. გაერთიანებამდე შედის შემდეგი სექციები: მრეცხათა, მღებათა, პარიკმახერთა და სხვა. არის მოწყობილი ყველა ზევით დასახელებულ სექციების მიერ საუკეთესო საერთო სახელოსნოები.

11. მუდიკო-სინიტარულა კავშირი. ირიცხება 78 წევრი.

12. კავშირი „შედაის მომუშავეთა“.

13. მესოსტრეთა კავშირი. ირიცხება 140 წევრი.

14. ფისკატრული კავშირი. ითვლება 68 წევრი.

15. კავშირი ფოსტო-ტელეგრაფთა მოსამსახურეთა.

16. სელაფინისზე მომუშავეთა კავშირი (рабнц).

17. კავშირი სმეკეთის ტრანსპორტის (трუმс). ითვლება 80 წევრი.

ქ. გულაუთში არსებობს შემდეგი კავშირები: მეტყავეთა; მეთევზეთა, მშენებელთა, საბჭ. მოსამსახურეთა და სხვა. ირიცხება 500-ზე მეტი წევრი.

12069  
ი. ჯ. პ. 133966



როგორც სოხუმში, ისე აქაც მოწყობილი საერთო სახელოსნოები. მუშაობა სწარმოებს.

არის ამორჩეული სამსახრო ზრდიბიურა. — ყველა ზევით ჩამოთვლილ კავშირების პლენალურ სხდომაზე ამორჩეულ იქნა ცენტ. პროფ. საბჭო (აფხაზეთისა).

საბჭომ გამოყო პრეზიდენტი ხუთი პირისაგან შემდგარი.

ცენტ. საბჭოსთან არსებობს შემდეგი განყოფილებები: 1) საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება, 2) შრომის დამცველი, 3) კულტ-

განათლებელი. 4) შრომის კომიტეტი, 5) ეკონომიური განყოფილება.

საერთო მუშები დიდს აღფრთოვანებით შეხედნენ ამ კავშირებს, დიდს იმედებს • ამყარებენ მომავალზე. მთელი ენერჯით მუშაობენ ჩვენი წარმოების და მდგომარეობის გასაუმჯობესებლათა შეკავშირებული მუშათა კლასი ჩვენთან არის და იქნება...

ს.ორგ.-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ხ. რუხაძე.

# მ რ ო მ ი ს მ ო ა მ ბ ე .

## მ ი ს ს ლ მ ე ბ ა

საქ. პროფ.-კავშირთა ცენტრალ. საბჭოს.

ქ. სოხუმის შეკავშირებული მუშათა კლასი გესალმებით თქვენს საქართველოსმუშათა კლასს, რომელმაც სოხუმის მუშათა კლასთან ერთად გადიტანეთ საშინელი უღელი მერვეეკური-ჯალათებისა!

დღეს, მათგან განთავისულებული მოვილიცავეთ გამარჯვებას და გისურვებთ რომ ასევე გაგვემარჯვებოდნენ შრომის ფრონტზე. ვიბრძოლოთ, ჩვენი საქმე ჩვენვე ვაკეთოთ! გაუმარჯოს ჩვენი წარმოების აღდგენას!

გაუმარჯოს წითელ პროფ.-კავშირების ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომუნისმს!

პრეზიდენტის მონდობილობით ხ. რუხაძე.

## მუშათა კლუბის გახსნა.

აპრილის 24-ს, ყოფილ კინო-პალასის შენობაში გაიხსნა მუშათა ცენტრალური კლუბი. კლუბის გახსნას დაესწრო ს. პ. კ. საბჭოს მთელი შემადგენლობა და სხვა დასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. დარბაზი სავსე იყო დამსწრე მუშებით.

ამხ. ყურული-შვილმა ს. პ. კ. საბჭოს სახელით კლუბი გახსნილათ გამოაცხადა. შემდეგ დაიწყო მისალმებანი. პირველათ მიესალმა კლუბის გახსნას საქართველოს რევკომის სახელით რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით ამხ. ორახელა-შვილი, წითელი ლაშქრის სახელით ამხ. კედროვეტე, კომ. პარტიის თბილის. ცენტრალურ კომიტეტის სახელით ამხ. ნუტუბიძე. ამხ. შარიკიანი ესალმება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სომხურ სექციის სახელით. რესპუბლიკის პოლალზრდის განყოფილების სახელით ესალმება ამხ. რუხაძე. შემდეგ სლაპარაკოდ გამოდის ძველი რევოლიუციონერი ამხ. ცერცვაძე. დასასრულ კრებას ესალმება ამხ. ყურული-შვილი ს. პ. კ. სახელით და გამოსთქვამს იმედს რომ მუშათა კლუბი დაიქვრს შესაფერადიგოს საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრებაში.

მისალმებელ სიტყვების შემდეგ დამსწრე საზოგადოება გადავიდა მუშათა კლუბის შენობაში, სადაც გამართული იყო საღამო. პირველათ დაიდგა

რევოლიუციონური შინაარსის ერთ მოქმედებიანი ქართული დრამა „დაკრილი ორბი“, მეორეთ რუსული პიესა „პროლეტარი ქალი“. დასასრულ შესრულებული იქნა ლენინისადმი ქებათა ქება.

პროფ.-კავშირთა საბჭოს თანამშრომელთა კლუბის გახსნა.

პროფკავშირთა საბჭოს მოსამსახურეთა ადგილობრივმა კომიტეტმა აპრილის 24 ყოფილ კინემატოგრაფ მინიონის დარბაზში გახსნა კლუბი. კლუბის გახსნის გამო მისსალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ფიგნატერმა, გ. ნუტუბიძემ და ვირაპმა. იყო მუსიკალური ვოკალური განყოფილება ინაშვილის და სხვათა მონაწილეობით. ლიტერატურ. განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო დამსწრე საზოგადოებამაც. ბოლოს აჩვენეს მხიარული სინემატოგრაფიული სურათები.

## სტატისტიკური ცნობები

მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის შესახებ საქართველოში.

სტატისტიკური ცნობებით, საერთოდ საქართველოს და კერძოდ მრეწველობისა და მუშათა საკითხების შესახებ ძალიან ღარიბი ვართ.

დღემდე არ მომხდარა პროფესიონალური აღწერა, არ გამოკვეულა მუშებისა და ქარხნების რაოდენობა. ამიტომაც ასეთი ცნობებისთვის ვისარგებლეთ ძველ მუშათა მაგიდის ცნობებით. უნდა ითქვას, რომ ეს ცნობები არ არის სავსებით სრული, რადგანაც მუშათა მაგიდიდან საქართველოში მცხოვრები ყველა მშრომელი არ სარკებლობდა. ზოგიერთ კერძო სამრეწველოსა და საზოგადო დაწესებულებას მუშათა მაგიდის ფონდში დეფიციტის დასაფარაად არ შექონდა საჭირო თანხა და მით მასში მომუშავეებს საშვალებას უსპობდენ იაფი პურის მიღებისას. თითქმის ყველა წერილი სახელოსნო და საეპრო სახლი მონაწილეობას არ ღებულობდა მომარაგების ფონდში, რისთვისაც მუშათა ეს ჯგუფები ამ ცნობაში არაა შეტანილი.

ამ მცირე შენიშვნის შემდეგ უნდა განვიხილოთ ის ცნობები, რომელიც ამ ჟამდ ჩვენს განკარგულებაშია. სამწუხაროდ, ამ ცნობებში სამრეწველოსა



და სხვა დაწესებულების რაოდენობა (რაა აღნიშნულ და იხსენიებული ვართ მხოლოდ მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის განხილვის დაეკავი-  
ფილდ.

საქართველოში 1920 წლის დეკემბერში სულ ბავშვობა 75317 მუშა და მოსამსახურე; აქედან სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებაში მუშაობდა 39497 კაცი, რაც 52,4% წარმოადგენს, საზოგადო დაწესებულება-წარმოებაში—20140 კ.—26,7%, კერძოში 15680 კ.—20,9%. როგორც მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, მუშათა უმრავლესობა (79,1%) მუშაობდა სახელმწიფო და საზოგადო წარმოება-დაწესებულებაში და მხოლოდ 20,9% კერძოში. მაგრამ აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ზემოდ გაკეთებული შენიშვნა შესახებ იმისა, რომ მოწოდებული ცნობები ზოგიერთ კერძო დაწესებულებაზე არ ვრცელდება, რის გამოც უკანასკნელ კატეგორიის მუშათა რიცხვი მეტი გამოვა.

ყველაზე უდიდეს სამრეწველო ცენტრად რასაკვირველია თბილისი ითვლება (თბილისი და მისი მხარა). აქ მუშაობს, გარდა რკინის გზის მუშებისა, რომელიც ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი, 47995 მუშა და მოსამსახურე (63,7%), შემდეგ მას მოყვება ქუთაისი 9162 მ. (12,2%), ბათუმი 5588 მ. (7,4%), ქუთაისი 2120 მ. (2,8%), ოზურგეთი 1520 (2,2%), ტყიბული 1500 (2,2%), ფოთი 1409 (1,9%) და სხ. სახაზინო და კერძო რკინის გზებზე მუშაობს სულ 19,493 მუშა და მოსამსახურე.

რესპუბლიკის ქალაქ ადგილას რკინის გზების გარდა მუშაობს 47207 მუშა-მოსამსახურე (62,7%), მაზრებში 8617 მ. (11,4%), რკინის გზებზე 19498 მ. (25,9%).

ქვემოლ დაბეჭდილ ცხრილში მოყვანილია მუშებისა და მოსამსახურეების შესახებ აბსოლიუტური ციფრები და განაწილებულია ისინი ტერიტორიის მიხედვით.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შრომისა და მრეწველობის სტატისტიკა მეცადრე წერტილს თავს დააღწევს და მახლოდელ ხანში გვექნება ამ მხრივ უფრო მდიდარი მასალა.

**ს. ს. რ. მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა.**

(მუშათა მაგიდის ცნობების მიხედვით)

1920 წლის ნოემბერი, დეკემბერი.

სახელი იმ ადგილები-სადაც მუშაობს და მოსამსახურე მუშაობენ	სახელმწიფო	სახოგადო	კერძო	სულ
<b>რესპუბლიკის ქალაქები:</b>				
1. თბილისი . . . . .	8902	11059	6931	26892
2. ქუთაისი . . . . .	1115	32	2200	3347
3. ბათუმი . . . . .	2083	948	2557	5588
4. სოხუმი . . . . .	658	380	102	1140
5. ფოთი . . . . .	284	626	1003	1409
6. ოზურგეთი . . . . .	258	159	—	417
7. ზუგდიდი . . . . .	106	—	—	106
8. სამტრედია . . . . .	23	173	—	201
9. ხონი . . . . .	203	45	—	248
10. ყვირილა . . . . .	209	404	—	613

11. ქუთაისი . . . . .	58	158	1904	2120
12. ხაშური . . . . .	26	207	—	233
13. ბორჯომი . . . . .	1015	86	159	1260
14. ახალციხე . . . . .	198	50	—	248
15. ახალქალაქი . . . . .	90	—	—	90
16. გორი . . . . .	166	174	3	343
17. თელავი . . . . .	238	162	27	421
18. სიღნაღი . . . . .	200	—	—	200
19. ღუშეთი . . . . .	127	110	—	237
20. სურამი . . . . .	34	—	—	34
21. კოჯორი . . . . .	35	35	—	70
22. სენაკი . . . . .	192	262	36	490
23. სახან. რკ. გზები	18498	—	—	18498
24. კახეთის რკ. გზა	—	—	995	995
25. ტყეებ. მალარო	1500	—	—	1500

ქალ. სულ. . . . . 36212 15552 14936 66700

**რესპუბლიკის მაზრები:**

1. ქუთაისის . . . . .	245	1111	189	5815
2. ზუგდიდის . . . . .	101	303	7	411
3. ლეჩხუმის . . . . .	248	25	—	73
4. ოზურგეთის . . . . .	470	575	58	1103
5. რაჭის . . . . .	195	54	—	249
6. სენაკის . . . . .	213	121	35	369
7. შორაპანის . . . . .	112	257	160	529
8. ახალქალაქის . . . . .	27	40	—	67
9. ახალციხის . . . . .	97	107	4	208
10. ბორჩალოს . . . . .	329	55	—	384
11. გორის . . . . .	191	467	38	696
12. ღუშეთის . . . . .	81	—	—	81
13. სიღნაღის . . . . .	29	300	—	329
14. თიანეთის . . . . .	23	—	—	23
15. თელავის . . . . .	273	143	—	416
16. ტფილისის . . . . .	282	280	226	788
17. გუდაუთის . . . . .	22	259	13	294
18. გუმისტანის . . . . .	18	131	—	149
19. კოდორის . . . . .	60	142	—	202
20. სამურზაყანოს . . . . .	84	4	—	88
21. ვაგრის . . . . .	382	80	4	366
22. ოჩამჩირის . . . . .	103	134	10	247

სულ მაზრებში. . . . . 3285 4588 744 8617

სულ საქართველოში. . . . . 39497 20140 15680 75307

52,4% 26,7% 20,9% 100%

ამ სიაში არ შედის ზოგიერთ კერძო დაწესებულებაში და სამრეწველოში, წვრილ სახელოსნოებში და სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავენი. რომლებიც მუშათა მაგიდის სურსათით არ სარგებლობდნენ. საერთოდ საქართველოში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი იქნება 110,000

**საგჭიკოთა კვეთაგოში რუსეთი.**

პეტროგრადში 11 აპრილს, შრომის სასახლეში გაიხსნა დიდი თათბირი ფაბრიკების, ქარხნების და პროფკავშირების წარმომადგენელთა. იმსჯელეს შრომის ნაყოფიერების აწევისა და მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. 900 დელეგატის არ-

ჩვენა, რომელთა დიდი უმრავლესობა უპარტიოა, დიდ ხმაურობას იწვევს მუშებში. პრეზიდიუმში არჩეულია მშკაცი უმრავლესობა უპარტიო გაციდა. მენშევიკების ცდა, რომ არჩევნების წინ თავის დეკლარაცია მიეღებინებიათ ხალხისთვის, უნაყოფოდ დასრულდა. ამხ. ზინოვიევი ვრცელ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერების აწევის და მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი საერთოდ სუშათა საკითხთან არის დაკავშირებული რუსეთში. შემდეგ მოხსენებაში ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს მენშევიკების ვერაგული პოლიტიკა ომის დაწყების წინ და ომის დროს, მოყვას ცაფრები ომის მსხვერპლთა რიცხვისა. მის მიერ გამოწვეულ ეკონომიურ დანგრევას და განადგურებას შედეგათ მოყვა მუშათა ცხოვრების გაუარესება, ამერიკა და ინგლისში უმუშევართა რიცხვის ზრდა. 3 წლის ყოველგვარი ტანჯვის, შიმშილობის, ბურჟუაზიულ ქვეყნებისაგან ბლოკადის და განუწყვეტელი სამოქალაქო და სხვა ომების შემდეგ მხოლოდ ესლა შეუდგა რუსეთი მშვიდ აღმშენებლობას. მომხსენებელს მოყვას მუშათა საზრდოს გაუმჯობესების შესახებ ციფრები. შედარებით 18—19 წლებთან აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ზომების მნიშვნელობას. ამხ. ზინოვიევი იწვევს უპარტიო ელემენტებს თანამშრომლობისათვის, აღუთქვამს ადგილის მიცემას ყველა მუშათა ორგანიზაციებში, თვით ჩეკაშიც.

**მოსკოვი. 21 აპრილი. (რადიო).**  
სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა 15 მაისისთვის მოიწვიოს ყრილობა. დაახლოებითი დღიური წესრიგი შემდეგია: 1) სრ. რუს. პრ. კავ. ცენტ. საბჭოს ანგარიშის განხილვა, 2) სრ. რუს. სახალხო მეურნეობის საბჭოს ანგარიში, 3) კავშირების როლი და მნიშვნეობა 4) სამეურნეო შემოქმედება და პროფ. კავშირი ბი, 5) საორგანიზაციო საკითხები, 6) სატარიფო პოლიტიკა და მომარაგება, 7) პროფკავშირები და კოოპერაცია, 8) რუსეთის პროფკავშირების მიზნები და ვალდებულება მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, 9) შრომის დაცვა, 10) კავშირების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, 11) სრ. რუს. პრ. კავ. ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნები.

არჩევნების წესი და წარმომადგენლობის წესი რჩება ძველი დამტკიცებული მე III ყრილობის მიერ, ე. ი. 3—5 ათასამდე არჩევ. საკუბერნიო განათლების განყოფილება გზავნის წარმომადგენელს გადაწყვეტი ხმით. არჩევნები უნდა მოხდეს საკუბერნიო კონფერენციაზე, საწარმოო-კავშირებში, დელეგატურა ყრილობაზე და სხ. დელეგატებს ევალებათ სახალხო განათლების საკუბერნიო განყოფილების 1921 წ. მუშაობის სრული ანგარიშის წარდგენა. აგრეთვე ევალებათ სტატისტიკური ცნობების მიწვდენა თებერვალის. მარტის და აპრილის თვეებში მუშაობისა.

**აზერბეიჯანი.**

ბაქოში 12 აპრილს, მუშებისა და გლეხების მომხმარებელ საზოგადო ყრილობაზე გამოცხადდა 200 დელეგატი. საიდანაც 150 კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ არიან გამოგზავნილი. მისალმების შემდეგ ამხ. ნარიმანოვმა ფრად მარტივი და გასაგები სიტყვებით განუმარტა ყრილობას მომხმარებელ კოოპერატივთა მნიშვნელობა- განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქვეყნებისათვის. ამხ. მუსაბეკოვი თავის სიტყვაში აღნიშნავს კანონმდებლობის ხაზის შეცვლას სასურსათო პოლიტიკაში, გაწერის მაგივრად სასურსათო გადასახადის შემოღებას და იმედოვნებს, რომ მომავალ წელს სასურსათო გადასახადიც აღარ იქნება საჭირო. აზერბეიჯანის გლეხს საშუალება მიეცემა ზედმეტი მოსავალი თავის ნებაზე მოიხმაროს, გაყიდოს და სხვა. სახელმწიფო მუშებისა და მცხოვრებთა ღირებულება წილისათვის სურსათს მხოლოდ საქონლის გაცვლა გამოცვლის საშუალებით შეიძენს, უმთავრესათ კოოპერატივების დახმარებით. უმთავრესათ სიტყვები თურქულს ენაზე წარმოითქვა. შემდეგ რუსულათ ითარგმნებოდა. დელეგატების 75-ე ა. ს. ს. რ. მშრომელ ხალხთა წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა.



**საერთაშორისო მუშათა მოძრაობა.**

**გ ე რ მ ა ნ ი ა .**

გერმანიაში დიდი აჯანყება. მრავალი ქალაქებში კომუნისტების ხელში. ზოგან სწარმოებს ბრძოლა მუშების და მთავრობის ჯარებს შორის. ქალბიტრეფული კომუნისტების ხელშია. ლეინის ქარხანის 20,000 მუშა აჯანყდა. გამბურგის ქუჩებში ბრძოლაა.

**ი ტ ა ლ ი ა .**

თებერვლის დამლევს მომხდარ იტალიის შტრამის კონფედერაციის ყრილობაზე მოხდა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების შეკამათება პროფკავშირებში უპირატესობის ნიადაგზე. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წითელ ინ-

ტერნაციონალის პროფკავშირების შექმნას მხარს უჭერს, ხოლო ამავე დროს იცავს იტალიის პროფკავშირების მთლიანობას და არ სწყვეტს კავშირს სოციალისტურ პარტიასთან. დაადგინეს გამოსვლა ამსტერდამის ინტერნაციონალიდან. რეზოლიუციის ასეთი ორკოფი ხასიათი აიხსნება სერატის ჯგუფის გავლენით.

ერთხმად დაადგინეს კონფედერაციაში მიიწვიონ სინდიკალისტები, რკინისგზოების კავშირი, მეზღვაურები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს კონფედერაციაში შემარცხენე ფრის. გაქლიერებას და მისცემს მუშათა მოძრაობას უფრო გარკვეულ სახეს.

ტურინში უკანასკნელ არჩევნების შემდეგ მუშათა პალატა გადავიდა კომუნისტების ხელში.

# გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციის მეთაურს

## ამხ. ლენინს.

### საზრუნავთი.

„პიუმანიტი“ იტყობინება, რომ მიუხედავად აღკრძალვის პარიზში მიანიჭეს მანიფესტაცია პარიზის კომუნის 50 წლის აღსანიშნავად.

### ინგლისი.

ფერმის მეპატრონეთა უკანასკნელმა კრებამ აღძრა შუამდგომლობა სამუშაო დღის მომატების შესახებ. სოფლის მუშათა ნაციონალური კავშირის გენერალური მდივანი კატეგორიულად აცხადებს, რომ მუშები არ დასთანხმდებიან ხელფასის დაკლებას ან სამუშაო დროს მომატებას.

### საბერძნეთი.

მუშათა საერთაშორისო კავშირის სტამბოლის განყოფილების მდივანმა მაქრუმისმა შემდეგი ცნობები გამოაქვეყნა საბერძნეთის კომუნისტური მოძრაობის შესახებ: მარტის დასაწყისში საბერძნეთში გაშროცხადდა პოლიტიკური გაფიცვა კომუნისტური ლოზუნგებით. მესვლეურთა და ელექტროტენიკოსთა გაფიცვა დამთავრდა, მაგრამ რკინისგზებელთა გაფიცვა გრძელდება.

თამაქოს მრეწველობის მსხვილ ცენტრში მარტს მოხდა გრანდიოზული მანიფესტაცია. რომლის დასაშლელათ გამოიწვიეს სახელო ნაწილები. საბერძნეთის ლაშქარში საპროპაგანდო მოწყობა 10 კომუნისტური იაჩიკა. მუშების საერთაშორისო კავშირმა სტამბოლში დაადგინა შეუერთდეს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

### ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის სოფლის მუშათა კავშირმა, რომელშიაც ითვლება 250,000 წევრი, დაადგინა შეუერთდეს მოსკოვის პროფკავშირთა ინტერნაციონალს.

### ესპანეთი

ესპანეთის მთის მუშებმა გადასწყვიტეს შეუერთდენ მესამე ინტერნაციონალს.

### ბელგია

ბელგიის მრეწველობის კრიზისმა უკიდურესი ხასიათი მიიღო, რაც მუშათა კლასისათვის დიდათ საგრძნობია. ამას გარდა სისტემატიურათ მცირდება ხელფასი. ყველა ეს იწვევს ცალკე გაფიცვებს, რომელნიც ახლო მომავალში მიიღებს მუშათა მასების სტიქიურ ეპოქის ხასიათს.

ტრამვაის მუშათა ექსპლოატაცია.

ტრამვაის მუშებს ხელფასი ისევ დაუკლეს, პირველ საქროების საგნებზე ფასის დაკლების გამო. ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს არ დაემორჩილონ ამ დადგენილებას.

### უმუშევრობა მეტყავეთა შორის.

ბელგიაში ტყავის მრეწველობის კრიზისი საშინელ ხასიათს იღებს. ალოსტში პროფკავშირთა 240 წევრში 216 უმუშევარია. ეს კრიზისი გამოწვეულია უმთავრესად მწარმოებელთაგან ხელაღწეული.

### ფინლიანდია.

ჰელსინგფორსში უმუშევართა ყრილობამ დადგინა მოიწვიოს მთელი ფინლიანდიის უმუშევართა ყრილობა და მოითხოვოს მუშათა კონტროლი მრეწველობაზე.

### შვეიცრია.

სტოკჰოლმი. მარტის 27-ს სტოკჰოლმში გაიხსნა მემარცხენე სოც.-დემ. პარტიის ყრილობა, რომელსაც დაესწრო ნორვეგიის, დანიის და ესტონეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლები. ყრილობა გახსნა რგლუნდმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არის პარტიის უმნიშვნელოვანესი ყრილობა. ც. კ. მდივანმა სტრეშმა გამოაქვეყნა პარტიული კენჭის ყრის შედეგები. კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის წინადადებას ხმა მისცა 5:400 წევრმა, წინააღმდეგ—1,500 წევრისა, 175 ხმის უმრავლესობით 34 წინააღმდეგ მიღებულ იქნა დადგენილება პროგრამის და წესდების გადასინჯვის შესახებ. რაც გამოწვეულია კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლისგან გამოწვეულ გახარებით.

### ნორვეგია.

მუშათა პარტიის ყრილობა კოპენჰაგენში. მარტის 30-ს დამთავრდა ნორვეგიის მუშათა პარტიის ყრილობა, ყრილობამ მოიწონა მასსების კომუნისტურათ აღზრდის პროექტი. გარენი აარჩიეს თავმჯდომარეთ. შეფლევ კომანტერნაციონალის აღმასრ. კომის. წევრათ.

### შეპირთებული უბასევი

ყველა რევოლუციონურ კავშირში უნდა აშერიკის მუშებს მოუწოდებენ შეუერთდენ საერთო რევოლუციონურ მოძრაობას. მოწოდება ადნიშნულია ის ფაქტი რომ კაპიტალისტური მოკავშირე ყვეთ ყვითელი ინტერნაციონალის სახით.

### ალმოსავლეთში

### ინდოეთი.

პომბეიდან იტყობინებან. რომ გაფიცული რკინის გზის მუშები დაეცენ სახალხო მატარებელს, დაანგრიეს გზა და დასწყვიტეს ტელეფონის მავალულები.

### ჩინეთი.

უკანასკნელ დროს შემჩნეულია ჩინეთში მუშათა მოძრაობის ზრდა. ესლა იქ ითვლება 140 დარაზმული მუშათა კავშირი.



# მთავრობის მოქმედებანი და გან- საკრებულებანი.

## დეკრეტი № 11

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონურ კო-  
მიტეტისა, სოციალური უზრუნველყოფის შესა-  
ხებ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა სოციალი-  
სტურ საბჭოთა მთავრობამ, დაისახა რა მიზნათ ნამ-  
დვილი სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს  
მიერ საქართველოს მშრომელი ხალხის უღატაკესი  
ნაწილისა: უმუშევართა, შრომისა და ბრძოლის  
უნარ მოკლებულთა, შრომის არ შემძლე ანუ  
ღრობით შრომის უნარ დაკარგულთა (ორსულო-  
ბისა, ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო),  
სტიქიური უბედურებისა ან კონტრ-რევოლუციონ-  
ისაგან დაზარალებულთა და სხვა.—დაადგინა:

1. დაარსებულ იქნეს ადგილობრივ საგუბერ-  
ნიო, სამაზრო და საქალაქო რევოლუციონურ  
კომიტეტებთან სოციალური უზრუნველყოფის გან-  
ყოფილებანი.

2. ყველა სამოწყალო სახლები: ახალშენები,  
სახელოსნოები, დავრდომილთა-დასახიჩრებულთა და  
ქვრივთა თავშესაფარი სახლები, რომელნიც წინად  
ეკუთვნოდა ცალკე კერძო პირთ, საქველმოქმედო,  
საზოგადოებრივ და ეროვნულ ორგანიზაციებს, ქა-  
ლაქების და მთავრობის ყოფილ დაწესებულებათ,  
მთლიანად გადადიან სოციალური უზრუნველყო-  
ფის სახალხო კომისარიატისა და მის საგუბერნიო,  
სამაზრო და საქალაქო დაწესებულებათა გამგებლო-  
ბაში.

3. ყოველგვარი დაზარების გაცემა, რომელ-  
საც წინად ეწოდნენ ამ დეკრეტით გაუქმებულნი  
საქველმოქმედო და საზოგადოებრივი ორგანიზა-  
ციები, გადადის სოციალური უზრუნველყოფის სა-  
ხალხო კომისარიატის ადგილობრივ დაწესებულე-  
ბათა გამგებლობაში.

**შენიშვნა:** რევოლუციონური ხელისუფლე-  
ბის ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ; სოცია-  
ლური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის  
ადგილობრივ დაწესებულებათა დაარსებამდე, მიი-  
ღონ საქირო ზომები გაუქმებულ საქველმოქმედო  
ორგანიზაციების კუთვნილ ქონების აღრიცხვისა-  
თვის.

4. უცხო სახელმწიფოთა დამხმარე კომიტე-  
ტები, რომელნიც მოქმედებენ სოციალური უზრუნ-  
ველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,  
კვლავ განაგრძობენ არსებობას.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი  
გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური  
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კო-  
მისარი ლ. დუმბაძე.

რეკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.  
1921 წ. აპრილის 2.

ქ. თბილისი—სასახლე.

### ც ი რ კ უ ლ ი ა რ ი

**ყველა დაწესებულებებს და წარმოებათ.**

შრომის სახალხო კომისარიატი ამით გაუწე-  
ვებთ, რომ თუ რომელიმე დაწესებულებას ხელთ

არა აქვს არავითარ წყვეტილობითი საბუთი იმისა,  
რომ ამ დაწესებულების მოსამსახურეს უკვე მიღე-  
ბული აქვს მარტის თვის ჯამაგირი, ან სხვა რაიმე  
ნივთიერი დაზარება, ასეთ შემთხვევებში დაწესებუ-  
ლებამ მუშა მოსამსახურენი სუთანადო ჯამაგირით  
უნდა დააკაყოფილოს და აგრეთვე № 30 ბრძა-  
ნების და მისი ცირკულიარულ განმარტების თანა-  
ხმად, მისცეს ერთდროული დაზარება 10.000 მა-  
ნეთი.

კოლეგიის წევრი მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძინიშვილი.

საინფორმაციო განყოფილების გამგე ლ. ლომ-  
თაძე.

### პროფესიონალურ საწარმოო კავშირებს.

წინადადებას ვაძლევეთ ყველა პროფესიონა-  
ლურ კავშირს და დაწესებულებას, ვინც კი კონ-  
ფლიქტს არჩევს, აწარმოოს კონფლიქტების სწორი  
რეგისტრაცია აქვე დართულ ფორმების და ინ-  
სტრუქციის თანახმად.

ბლანკების და ინსტრუქციების მიღება შეიძ-  
ლება საქართველოს პროფეს. კავშირთა საბჭოს  
შრომის სტატისტიკურ განყოფილებაში (მუშათა  
სასახლე, ოთახი № 4, ქალ. თბილისი).

პირველ საანგარიშო თვეთ ითვლება ა. წ.  
აპრილი.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. ყურულიშვილი.

სტატისტიკურ განყოფილების გამგე

გ. მათვეივი.

### ინსტრუქცია კონფლიქტების აღრიცხვის შესახებ.

1. ყოველი კონფლიქტი, რომელიც შემოდის  
გასარჩევად პროფესიონალურ კავშირსა ან მისი სა-  
კონფლიქტო განყოფილებაში, უთუოდ უნდა აღი-  
ნუსხოს რეგისტრაციის წესით.

2. კონფლიქტების რეგისტრაცია ხდება № 1  
ფორმის ბლანკებზე, № 1 ფორმის ბლანკები იხმა-  
რება საქმის წარგოებისათვის და მათზევე აღინიშ-  
ნება დაწვრილებითი ცნობები კონფლიქტის შე-  
სახებ საქმის მსვლელობის-და მიხედვით.

3. ყველა ის კონფლიქტი, რომელსაც თან-  
დასდევს გაფიცვები, შეტანილ უნდა იქნას, გარდა  
№ 1 ფორმის ბლანკისა, გაფიცვის ბლანკზედაც—  
ფორმა № 2.

4. ერთი და იმავე მიზეზით გამოწვეული გა-  
ფიცვის აღსანიშნავათ, რომელიც რამოდენიმე წარ-  
მოებაზე ვრცელდება, იხმარება ყველა წარმოებე-  
ბის ჩაწერით (ერთი ცალი № 1 ფორმის ბლანკი);  
იგივე წარმოების გაფიცვის თაობაზე იწერება ავ-  
რეთვე ერთი ცალი № 2 ფორმის ბლანკისა (გა-  
ფიცვის ბლანკის დამატება) მხოლოდ ცნობები გა-  
ფიცვაზე იკრიბება ყველა წარმოებისათვის ცალ-  
ცალკე.

5. საკონფლიქტო განყოფილებას, თვის და-  
საწყისში, ანგარიშში მოჰყავს წარსულ თვის გან-  
მავლობაში დათავებული კონფლიქტების ბლანკები  
ა) გარჩეული, ბ) — რაიმე მიზეზის გამო შეწყვე-  
ტილი ან გ) — სხვა დაწესებულებებზე გასარჩევად  
გადაცემულ კონფლიქტებისა).

აღნუსხვა ხდება № 3 ფორმის ტაბულაზე „სა-  
კონფლიქტო განყოფილების მოქმედების ანგა-  
რიშიში“.

8. № 3 ფორმის-სანუსხაც ტაბულის დუბლი-  
კტი უნდა წარედგინოს პროფესიონალ კავშირთა  
საბჭოს სტატისტიკურ განყოფილებას. მომავალ თვის  
3-რა უგვიანეს მე-5-ე რიცხვისა.

7. ტაბულებთან ერთად პროფესიონალ კავ-  
შირთა საბჭოს სტატისტიკურ განყოფილებაში იგ-  
ზავდება ბლანკები ყველა კონფლიქტების თაობაზე,  
რომლის მონაწილე მ კაცს აღემატება და აგრეთ-  
ვე იმ კონფლიქტებისა, რომელთაც თანასდევს ვა-  
ფიციები.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.  
საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს თავ-  
მჯდომარე გ. ყურულიშვილი.  
სტატისტიკურ განყოფილების გამგე მათევევი.

**დ რ ო ე ბ ი თ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

სამსახურის გამო წარდგენილ თანამშრომელთა  
გასამრჯელოთი დაკმაყოფილებისათვის.

დროებით, ვიდრე რესპუბლიკის სახელმწიფო,  
საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს და  
წარმოების თანამშრომელთათვის სურსათის მიწო-  
ლება-მომარაგება მოწესრიგდებოდეს, სამსახურის  
გამო წარდგენილ თანამშრომელთა წარდგენაში გა-  
ტარებულ დროს გასამრჯელოდ მიეცეს: თითოეულ  
დღეში ერთი მე-15-დი ნაწილი თვიურ ჯამაგირისა  
და გზის სრული ხარჯი (რკინის გზის ბილეთის ან  
ეტლის ფასი წარვლენის ადგილამდე და უკან, აგ-  
რეთვე ყოველ ქალაქში, გამგზავრების პუნქტი-  
თურთ, ორ ვზობა ეტლზე გაწეული ხარჯი).

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.  
ს. ს. კ. მდივანი ყურულიშვილი.  
სანორმო განყოფილების გამგე ჯუღელი.

**შრომის განყოფილებათ და საქართველოს სა-  
პროფესიო კავშირთა საბჭოს.**

შრომის სახალხო კომისარიის ცნობით,  
შრომის ზოგიერთი განყოფილება და საპროფესიო  
კავშირი არსებულ საქართველო-მოთხოვნების და-  
საკმაყოფილებლათ უკვე აწარმოებს შრომის შესა-  
ხებ არსებულ რუსულ ლიტერატურის თარგმანს.  
მოუწვევია სამისოდ განსაკუთრებულნი პირნი და  
მასალის დამზადებისთანავე განზრახული აქვს მათი  
დაბეჭდვა, ხოლო ზოგი რამ დასასტამბად უკვე  
განუშობადებია.

ვინაიდან ასეთი ხასიათის მუშაობას (კანონ-  
დებულებათა, განკარგულებათა, ინსტრუქციების

და საერთოდ ლიტერატურის თარგმანს და ბეჭდვას)  
თითქმის თავის დაარსების დღიდანვე აწარმოებს  
თვით შრომის ცენტრალური დაწესებულება—სა-  
ხალხო კომისარიის, რომელსაც ამისთვის საკან-  
გებოდ მთარგმნელთა კოლეგია ჰყავს მოწვეული,  
და პარალელურად მუშაობის სხვაგან წარმოება  
მას მიზანშეუწონლად მიიჩნია შრომის სახალხო კო-  
მისარიის წინადადების გაძღვეთ, დღეიდან მაინც  
მოერიდოთ ზედმეტ ენერჯის და დროის უსარგებ-  
ლოდ დაკარგვას, შრომის შესახებ ლიტერატურის  
და სხვა და სხვა კანონდებულებათა თარგმანსა და  
ბეჭდვაში.

კოლეგიის წევრი მიქაძე.  
საქმეთა მმართველი ბერძნიაშვილი.  
საინფორმაციო განყოფ. გამგე ალ. ლომთაძე.

**ც ი რ კ უ ლ ი ა რ უ ლ ა დ.**

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუ-  
ბლიკის ყველა დაწესებულებებს და წარმოე-  
ბათ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რეს-  
პუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის № 30  
დადგენილების თანახმად, შრომის სახალხო კომი-  
სარიის წინადადების გაძღვეთ ყველა დაწესებუ-  
ლებებს და წარმოებათა იმ მუშებს და მოსამსახუ-  
რეთ, რომელნიც აღნიშნულ რევოლიუციონურ კო-  
მიტეტის № 30 ბრძანების გამოქვეყნების დროს  
სამსახურში იმყოფებოდნენ, და რომელთაც ყოფილ  
მენშევიკურ მთავრობისაგან არ მიუღიათ ა. წ. მარ-  
ტის თვის კუთვნილი ჯამაგირი, მათ უნდა მიეცეთ  
დახმარების სახით ათი ათასი (10,000) მანეთი. აღ-  
ნიშნული თანხის გარდა არ შეგიძლიათ გასცეთ  
რაიმე დახმარება, თუ უკანასკნელი ვათვალისწინე-  
ბული არ იქნება შრომის სახალხო კომისარის გან-  
კარგულებით. იმ პირობით, რომელთაც მიღებული  
აქვთ რაიმე თანხა მარტის 1-ს შემდეგ, იგი ჩეთე-  
ლებათ აღნიშნულ დახმარების ანგარიშში. თუ გე-  
ცემული თანხა აღემატება 10,000 მანეთს, მაშინ  
ზედმეტი ჩეთელებათ მიღებულ აქანსად და გამოე-  
რიცხებათ ჯამაგირიდან.

კოლეგიის წევრი მიქაძე.  
საქმეთა მმართველი მ. ბერძნიაშვილი.  
საინფორმაციო განყოფილების გამგე ალ.  
ლომთაძე.

**ამქრობა საქართველოში.**

შენამუსა.

ამ სათაურით ხელთნაწერი, სახელდობრ: „ხე-  
ლოსნები და ხელოვნობა საქართველოში“ ვრცელი  
ტომი გახლავთ, მასში მოთავსებულია და აღნუსხუ-  
ლი ნიშნები იმ ხელოვნების და მუშათა ცხოვრების  
პირობები, რომელნიც კი ოდესმე საქართველოში  
ყოფილან, უცხოვრიათ და უმუშაენიათ ხელოვნო-  
ბით.

ხელთნაწერის დასაწყისის რამდენიმე ფურცელი,  
ამას წინეთ; ერთს ქართულ რედაქციაში დამრჩა,  
სადაც იგი უნდა დაებეჭდათ, მაგრამ მათი ბეჭდვა  
ვერ მოხდა და ხელთნაწერებიც დიკარგა უჩინრათ.

ესლა ვიწყებთ ბეჭდვას შემდეგის ფურცლებიდან,  
სადაც იწყება აღწერა „ქვის ჩუქურთმის მკრეწნი“.  
თუ დაკარგული ფურცლებიც ვიპოვენთ, ისინიც  
დაიბეჭდება და მას მოჰყვება მთელი ხელთნა-  
წერის ნაწილ-ნაწილ დაბეჭდვა, ბოლოს კი ყველა  
ეს ერთ წიგნათ გამოიცემა.

ამ აღწერას აქვს პირდაპირ ისტორიული ხასი-  
ათი და ის დანიშნულება, რომ მკითხველს აცნობოს  
თუ საქართველოში რა და რა ხელოვნობა არსებობ-  
და ძველ დროიდან.

ქვის ჩუქურთმის მჭრელნი. ქვის ჩუქურთმას და მის ხელოსნობას დიდი ისტორია აქვს. ქვის ჩუქურთმა მოითხოვდა წერა-კითხვის მკოდნე მუშა ხელოსანს, ქვის მტეხელი მჭრელი მტერვეელი და მთლელი შეიძლება სულ უბრალო მუშა ყოფილიყო და თვით ანბანიც არ სცოდნოდა, მაგრამ ქვის ჩუქურთმის მჭრელი და მექანდაკე კი უსათუოთ წიგნის მკოდნე უნდა ყოფილიყო და მასთან დახლოვებით დახელოვნებულნიც, ამიტომაც ქვის მჭრელ ხელოსანს შეგირდობაში უნდა დაეყო ხუთი, ექვსი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში შეგირდს უნდა ესწავლა ეს რთული ხელობა თავის ოსტატთან.

ისტორიული ცნობებით ქვის-ჩუქურთმის კრას სწავლობდნენ ხშირათ თვით ისეთი განათლებული ქართველი ერის კაცი და ბერნიც, რომელთაც ქართული პალიოგრაფიის შემცნებაც ჰქონდათ, ამის უხადი საბუთი გახლავთ მადგამ დაშთენილი ეკლესიის ქვეზე ამოკრილი ქართულ-ხუტურ-მხედრულ ასოებით სხვა და სხვა მოხსენებანი. ასეთ ნაშთებს ხომ ჩვენ საქართველოში მრავლათ ვპოვებთ და მათ ოსტატურ ხელოსნობის და მოქარგულობას განეკუთვნება მოწყავემნახველი. ვასაოცარია აგრეთვე ამთი ხელოსნობის ოსტატობა „ხელ-ჩართული“ ასოების ამოკრა რა ქართულ-მესხურ ვადამხელ-ხელით წერა, რაც პიტალო თლილს ქვეზედ ცხოვლათ არის დარჩენილი. სხვა არა იყოს რა საფლავის ქვებს რომ მივაქციოთ ყურადღება, მარტო ესეც კი კმარა მის სათქმელათ, რომ ქვის-მჭრელნი თვისის ხელოვნების ოსტატობით საქმარისათ უნდა დახელოვნებულნი ყოფილიყვნენ საქართველოში. მხოლოდ ის კი არ ვიცით, თუ ამათ როგორი წესები ჰქონდათ სახელოსნოებში ის კი კარგად-სჩანს, რომ ჩუქურთმის მჭრელთ ხელობა საქართველოში საერთოთ ყოფილა მოფენილი, ხელოსნებს ერთმანეთში კავშირიც ჰქონიათ და ხშირათ თურმე სახელოსნო განეთარებას ერთმანეთსაც ასწავლიდნენ, უმეტესა ამათ სახელოსნო გონივრულ კავშირს რაიმე სახელოსნო ზედამხედველური წესიც ექნებო-

თა. ამ ხელობის საქმე დაცვა საქართველოს დანაწილებასთან ერთათ. რასაც მოკვდა თვით ქართველი ჩუქურთმის მჭრელთა და ქვის მთლელთა მოსაზრებები. უკანასკნელ საუკუნეში ამიტომ ხელოსნებათ მთელს საქართველოში სულ ბერძენები იყვნენ. ბერძენები საქართველოში დარჩენილან და უკანასკნელათ გაქართველებულან, კიდევ მაგალითად ბერძენული ლების გვარი და სხვა. ქართველთა შორის ამ ხელობის მიმდევართა რიცხვმა 19-საუკუნის ნახევარში იზრდა თავი და დღეს თბილისში 40-მდე ქართველი არიან ქვაზეთ მომუშავე ჩუქურთმის მჭრელნი, რომელთაც ჩინებულათ აქეთ ეს ხელობა შესწავლილი, ზოგი მათგანი შესანიშნავათაც სკრის სხვა და სხვა ფერად მარმარლოს ქვეს. არა მითხო სხვა და სხვა ენის ასოებს, არამეთ თვით ანტიკა კაცის სურათებს და ვინ იცის რამდენ კიდევ ასე რამეებს. ამათი გაკეთებული ძეგლებით მოქარგულია თფილისის ყველა სჯულის სასაფლაოების ძეგლები. ამ ხელობით ქართველებმა სხვა ტომის ხელოსნებს თფილისში წინ გაუსწრეს. იმედია, რომ ქართველებში დღეს შემდევ ამ ხელოსნობის საქმე უფრო სუფთა. ანტიკა ხელოვნების მიმართვის მიიღებს.

კალატოზება. ჩვენ უნდა ხელოსნობის საქმე ისე ავწეროთ, რომ იგი რიგზე იყოს დაწყებული და კაცის პირველ ყოფილ საქმრო ხელოსნობა პირველათვე მოქცეულა, ამ შემთხვევაში კალატოზებს ეთმობათ პირველი ადგილი. ეს წესი ჩვენ უნდა დავიცვათ ამ წიგნში. საქართველოში ხალხთა შორის კალატოზობა როდის გაჩნდა, როდის მოიკონეს აგურის ქრა და სახლების ამითი კეთება. ამის ცნობები არ არის; ხოლო ის კი სჩანს კარგათ, რომ კალატოზობა ქართველთა დროს უნდა იყოს შემოსული ბევრათ აღრე ქრისტესობამდე, მგონი სამი ათასი წლის წინეთ. ამიტომ აღსანიშნავია მარტო ის ამბები რაც ამ ხელობისხალხსა და ხელოსნობას შეეხება ჩვენის ტომის წინაშე საქართველოში.

(გაგრძელება იქნება).

**განზრახულია გაჰოიცავს**

**ხუთ-ღლიური გზებით „შრომის მოამბე“**

რედაქცია სთხოვს პროფ. საჩხაშვილს, ვაჟა-ფშაველას და სხვათა დაწესებულებების ადგილობრივ კომიტეტებს და სხვა მუშათა ორგანიზაციებს მოკვანოდონ სისტემატიური ცნობები მუშათა ცხოვრებიდან, როგორც ხუთ-ღლიურ გზეთსა, ისე ორ კვირეულ ჟურნალისათვის.



პრეზიდენტის უფლებამოსილება მუდამ კლავს,  
ის უფლებს წარმოების და განაწილების მოვლითა  
ინტერესების და მთხოვნის დასაქმებულთათვის.